ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერი ყანწები

№ 5

ყოველთვიური — ფასი 10.

1910

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—გლეხის სიმღერა,—ლექსი, დ. ელიოზიშვილისა 3

II—გაველდა ცხვარი,—ვაჟა-ფშაველასი.. 5

III—ლომი,—ზღაპარი ვიქტორ-ჰიუგოსი, ს. მიქაბერიძისა ..15

IV—ედიტა და ქურდი,—(დასასრული), ეკ. ლორთქიფანიძისა..24

V—ლაშარის ხატი,—(ფშაური ლეგენდა), აკაკი მცირესი....29

VI—გედეონ ვასილის-ძე გედევანოვი—მირალიანი,—....34

VII—საოცარი არწივი,—ჩინური ზღაპარი, (თარგმანი) დ. ნახუცრიშვილისა 36

VIII—ავი ობობა,—ზღაპარი, კორდელისა 39

IX—უძრავი და ცდომილი ვარკვლავები, (ბლანეტები),—(თარგმანი), ვასო დამბაშიძისა..... 45

X—ფუტკარი და მისი ცხოვრება,—წერილი მერგე, სკები და ხელსაწყო იარაღები, ალ. წულაძისა 51

XI—ცოტა რამ მარილზე,—დ. ახ.—სა.....60

XII—ნარევი:—ა) შარადა,—ბ) ამოცანები და ალსნა.....63

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეშვიდე

მაისი, 1910 წ.



სკოლა ინგლისში.

ტფილისი, ელექტრომბეჭდავი წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

ოგბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—გლეხის სიმღერა,—ლექსი, დ. ელიოზიშვილისა 3

II—გაველდა ცხვარი,—ვაჟა-ფშაველასი 5

III—ლომი,—ზღაპარი ვიქტორ-ჰიუგოსი, ს. მიქაბერიძისა ...15

IV—ედიტა და ქურდი,—(დასასრული), ეკ. ლორთქიფანიძისა ..24

V—ლაშარის ხატი,—(ფშაური ლეგენდა), აკაკი მცირესი 29

VI—გედეონ ვასილის-ძე გედევანოვი—მირალიანი,— 34

VII—საოცარი არწივი,—ჩინური ზღაპარი, (თარგმანი) დ. ნახუცრიშვილისა 36

VIII—ავი ობობა,—ზღაპარი, კორდელისა 39

IX—უძრავი და ცდომილი ვარკვლავები, (პლანეტები),—(თარგმანი), ვასო დამბაშიძისა 45

X—ფუტკარი და მისი ცხოვრება,—წერილი მერგე, სკები და ხელსაწეო იარაღები, ს. წულაძისა 51

XI—ცოტა რამ მარილზე,—დ. ს.—სა.....60

XII—ნარევი:—ა) შარადა,—ბ) ამოცანები და აღსნა.....63



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლეხის სიმღერა.

მერთმა დალახვროს ზამთარი
თავის ჯაგლაგი ცხენითა;
ნულარ იხაროს მან კვალად
ჩვენის მინდვრით და ველითა.

ბევრი ვიწვნიე ვაება,—
ცრემლი მდიოდა თვალითა;
ცოლ-შვილს შიმშილი ეწვია,
ამან ამავსო ვალითა...

ცაში დასცურავს მერცხალი,
ბულბული უსტვენს ტიასა;
მინდვრად ჩაუბამთ ფერხული:
გვირილ-ენძელა, იასა.

ჯეჯილმაც თავი ამოჰყო
მწვანედ გამოჩნდა მიწაზე,
ხავერდოვანი ქოჩორი
ტურფად ერხევა ნიავზე.

შიგ ღალღა ტკბილად ჭუკჭუკებს,
დიდებას უძღვნის ზენასა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოლო მე ასე მაუწყებს:
„ახლა იგრძნობო შვებასა!...“

გული სიამით მევსება,—
ცრემლი აღარ სდის თვალსაო,—
ცოლ-შვილს ექნებათ საკვები;
ყველას გადუხდი ვალსაო!...

მაშ, აბიბინდი, ჯეჯილო,
ყანად იქეცი მალეო;
არას დავზოგავ მე შენთვის
ოფლს დავღვრი, გენაცვალეო...

დ. ელიოზიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაველდა ცხვარი!

I

აზაფხული იყო, მაისის დამდეგი, როცა ბეჟანმა ბარიდან ცხვარი მორეკა ფშავში, საკუთარ მთებში. მწყემსი კმაყოფილი იყო თავის ბედისა, წლევანდელის წლისა, „კარგად გამოვიდა“, კარგი დოლი აიღოვო. ფარა მოქანავდა, როგორც მარილ-დანატრულებული, ისე მიიწევდა მთისკენ, მიუხაროდა, მიეშურებოდა, ჩქარა ეგემნა ის განუსაზღვრელი სიამოვნება, რომელსაც სიცხე პაპანებაში ჰგრძნობს ყოველი ცხოველი მთაზე ლაღის მთის ჰაერის ყნოსვით.

ფარა ჰქუხს, ღელავს, „ხმა“ აქვს, შთაუნთქავს ყურთასმენა, დაეძებს ბღავილით დედა-ცხვარი ბატკანს, ბატკანი— დედას. როცა ცხვარს ამისთანა გუნებაზე ჰხედავს მწყემსი, რაც იშვიათია, ცხვრის პატრონს ოცის წლის სიცოცხლე ემატება, სრულიად ბედნიერია, სრულიად კმაყოფილი თავისთავისა, ღვთისა და კაცისა. მხნედ, ამაყად გამოიყურება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცეა მისი ფეხის გადადგმა, წელში იშლება. ასეა მუდამ, როცა კაცს ამაგი უფასდება, როცა მისი ტანჯვა-წვალება უნაყოფოდ კი არ ჩაივლის, სრულს მოსალოდნელს ნაყოფს გამოიღებს. ძაღლებიც-კი, რომლებიც პატრონს თვალებში შესჩერებიან და სურთ გაიგონ მისი სულიერი ვითარება, მხიარულად არიან: პატრონის სიხარული ახარებთ, ხოლო დარდი ადარდიანებთ.

ბეჟანის ძაღლებიც, მხიარულ პატრონის მხილველნი, მხიარულ გუნებაზე იყვნენ და როდი გლოვობდნენ თავის გაკრეჭილ-კუდებს, არ ემდუროდნენ პატრონს, ვისი ბრალიც იყო იმათი კუდების გაკრეჭა, ჰგრძნობდნენ იმასაც, რისთვისაც მოაცალა ძაღლებს ბეჟანმა კუდებზე მეტი ბალანი; პირიქით, ამისთანა კუდებით კიდევაც ამაყობდნენ, უბრალო შინაური ქოფაკები კი არა, არამედ „ცხვრის ძაღლები“ ვართო, დიაღ, ცხვრისა, რომლის გამჩენსაც ბეჟანი მუდამ ფიცულობს, ურომლოდაც სამღვთოს ვერავინ გადიხდის, ხატს, ღმერთს ვერავინ შეეხეწება, მკვდარს ვერავინ დაჰმარხავს, ტანს ვერავინ შეიმოსავს, ვერც გაითბობს. ამით ცხვრის ძაღლებსაც თავი მოაქვთ, თავი მოსწონთ. რა არის იმათ თვალში შინაური ძაღლი ბალნიანის კუდით, განებივრებული, გაპეწნიკებული? არაფერი. გდია შინ, მარტო სახლის კარებზე ღავღავებს, არც მტერთან უბრძოლია, არც სიცხე იცის, არც სიცივე, არც წვიმა, არც თოვლი,—ყოველ შემთხვევაში საფარს ეძებს მოსასვენებლად. ერთხელაც-კი არ დაჭრილა მტერთან ბრძოლაში იმიტომ, რომ მტერთან არ უბრძოლია, ხოლო ბეჟანის ძაღლებს რამდენი ნაკბილარები ეტყობათ მგლისა, ზოგი ცხვირ-პირში, ზოგი ყელში. წლეულ ზამთარს მარტო ხუთი მგელი დაარჩვეს. რისთვის? ვისთვის? ცხვრის გულისათვის. აი რა ბიჭები არიან!...

კუდი!? იყოს გაკრეჭილი, მერე რაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ბეჟანი მხოლოდ ერთსა დარდობს: ვაი თუ ცხვარს „ნაბარალი“ მოუყვეს. ამის შეტყობა წინასწარ ძნელია, ძნელია, ვიდრე ცხვარი მთის ბალახს არ მოსძოვს, მთის წყალს არ დაჭლევს. მხოლოდ ფარის კვირის შემდეგ გადასწყდება ავკარგი, მაშინ გამოირკვევა ყველაფერი; იმედი აქვს მწყემსს, რომ ეს არ მოჰხდება; თუმც ეჭვობს, მაგრამ მისი გულისთქმა უფრო იმ ფიქრისაკენ იხრება, რომ ღმერთი, სიკეთის დროს, იმ ბედნიერებას, რაც მიანიჭა, აღარ გააფუჭებს, სიამოვნებას არ ამოაშხამებს. ამიტომ მაინც მხნედ და გულადად არის.

ცხვარმა უკვე შეათავა ჭალა და მთის კალთას მოება, ტყიანს ფერდობს შეუდგა და, აი, სწორედ ამ დროს ერთი დედა-ცხვარი შესხლტა ფარას; როგორ მოუვიდა, თითონაც ვერ გაიგო, შესხლტა მარტოდ-მარტო, უშვილოდ, უბატკნოდ; მისი სიცოცხლე, მისი სიხარული პატარა, ფუნჩულა, ბამბის ქულასავით ბატკანი ფარაში დარჩა უდედოდ. ცხვრის დაკარგვა მწყემსებმა და ბეჟანმა მხოლოდ მეორე დღეს-ღა გაიგეს, როცა ცხვარი ბინაში მივიდა, გაიგეს იმით, რომ ერთი ბატკანი ფარაში გულსაკლავად ბღაოდა, დარბოდა, ხან ერთ ცხვარს მიუხტებოდა მოსაწოვად, ხან მეორეს, მაგრამ არავინ იკარებდა, ყველა იშორებდა, ყველა ურქენდა საბრალოს ძუძუ სწყუროდა, მაგრამ ძუძუს არც ერთი ცხვარი არ უთმობდა, ყველა თავის ბატკნისთვის უფრთხილდებოდა. დედა ცხვარი დარბოდა ტყეში და ბღაოდა: ბაااა, ბეეე! თავ-ზარ დაცემულს ტვინი გადაუბრუნდა: ეს როგორ მოჰხდა, რომ ამხანაგებს ჩამოშორდა? როგორ მოჰხდა, რომ იმის საყვარელი შვილი არ არის იმასთან? ამ ფიქრებმა, მარტოდ ყოფნამ გადარია ცხვარი; სხვა ყველაფერი დაავიწყდა, გარდა ერთისა—ეს იყო შვილი, თეთრი, თეთრი, როგორც უმტვერო თოვლი. ის სადა ჰყავს, სად?... რატომ გვერდს არა ჰყავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალ-დაფეთებული აწყდებოდა ტყეში აქეთ და იქეთ, ჩარჩა მხოლოდ გონებაში და, რასაც თეთრს დაინახავდა, ქვას თუ სხვას რასმე, გააფთრებული ზედ მიიჭრებოდა: „ბღაააა, ბეეე!“ ოჰ, როგორ გულ-დაწყვეტილი ბრუნდებოდა უკან და მიისწრაფოდა სხვა მხარეს, რწმუნდებოდა—რა, რომ თეთრი საგანი ქვა გამოდგებოდა, ყუნჭი ან სააბედე, ხმელი სოკო, ხმელს, დიდრონ წიფელზე შერჩენილი. ყოველივე ფაჩუნი ტყეში კიდეც აფრთხობდა ცხვარს და კიდეც იზიდავდა თავისკენ, მაგრამ ადამიანი, თუ სხვა რომელიმე უვნებელი ცხოველი, ცხვარს აშინებდა,—იგი გაურბოდა ადამიანს, გაექცეოდა ცხვრის ფარასაც, რომ სადმე შეჰყროდა. ეს ცვლილება განიცადა ცხვარმა სულ ორის კვირის განმავლობაში. „გაველდა ცხვარი“, განადირდა. ზოგი ნადირი თუ იმას აფრთხობდა და აშინებდა ტყეში, ზოგისთვის თითონ შეიქმნა საშინელი, საფრთხული. ისე არა დროს არ შეჰხვედრია შველსა, რომ გული არ გაეხეთქა, ხავილი არ აეტეხინებინა მისთვის: „კაუ, კაუ“! მოჰყვებოდა შველი ხავილ-ჩხავილს. ვინ იცის, რა ეგონა ცხვარი? ვინ იცის, რა უბედურებას ელოდა მისგან? როდის-როდის, გზას ძოვის გაიგნებდა და თვალ-დაფეთებული, დავთრებ-დაბნეული გარბოდა, ცდილობდა დაჰმალვოდა ცხვარს—ამ მოულოდნელ საშინელებას, ღვთის რისხვას. ცხვარს შველი მგლად ეჩვენებოდა და ისიც თავისთვის გარბოდა. გაველდა ცხვარი! დაემწყვდია ტყეში, ხეთა და ხევთა შორის. თავდაპირველმა მისმა ცდამ როგორმე გასცლოდა ამ საპყრობილეს, გასულიყო გარეულ, ველად, მინდვრად, შეჰყროდა თავის შვილს, ამხანაგებს უქმად ჩაუარა და ნელ-ნელა ცხვარი შეურიგდა თავის ბედსა. რაც ხანი გადიოდა, იმის მიხედვით ცხვარიც ივიწყებდა ყველაფერს წარსულს, შვილსაც, ფარასაც. ახალ ცხოვრებას ეთელებოდა, ახალ ცხოვრების თანახმად იძენდა ახალ ზნე-ჩვეულებას. დღეს, მაგალითად, ჯერ ორი თვე არ არი, რაც ფარას მოსცილდა, მაგრამ ნამდვილი ნადირია, როგორც შველი, ირემი, არჩვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდღელი და სხვა. იმათებრ წვება და დგება, საბინადროდ აშენებს ადამიანი, ირჩევს დასაწოლად მოხერხებულს ადგილს, ადვილად გაიგოს მტრის—ადამიანის, ან მგლის მოახლოვება... გათავდა ოცნება, გულის ტკივილი შვილისთვის, გაჰქრა სიყვარული ამხანაგებისა. იყო-კი ან ერთი ან მეორე? არ იცის, აღარ ახსოვს. ბეჟანის, თავის პატრონის დანახვაზე, იმ პატრონისა, რომელიც მარილს უყრიდა, სწველავდა, ჰპარსავდა, ბევრჯელ პირში ჰკოცნიდა და «პირ-წითელას» ეძახდა, ხესა და ქვას შეასკდება—ვეღარ იცნობს და იმიტომ, დაავიწყდა,—თუ პატრონი, მომვლელი, მზრუნველი ჰყვანდა ერთ დროს. დღეს ცხვრის მომვლელი, მზრუნველი, ამხანაგები, შვილი,—ტყეა, კლდე, ბალახი და ვეძა. შვლების, ირმების წყალობით, ცხვარმაც ისწავლა ვეძის გზა, იმათ ბილიკზე დადის და, როცა დროს იხელთებს, მიდის ვეძაზე, სალოკზე. დღეს ცხვარს ახსოვს მხოლოდ თავისი თავი, თავისი სიცოცხლე და ამას უფრთხილდება... გაველდა ცხვარი!.. როდემდის შეინარჩუნებს ამ სიცოცხლეს, არ ვიცით, რადგან უზრუნველყოფილი არაა მისი სიცოცხლე ტყეში; ხიფათი ყოველ ჟამს მოსალოდნელია და, თუ იმაზე ფეხ-მარდი შვლები, ირმები ებმებიან, როგორც ხალხი ეძახის მგლებს—«ლეგ ჩოხა ბიჭებს», იმათ დაგებულ ხაფანგში, ცხვარს რაღა იხსნის, რა დაიფარავს?

III

ბეჟანი რაღას ფიქრობდა, ან დაობლებულს ბატკანს რა დაემართა? პირ-წითელა ბეჟანმა უკვე გადაიგლოვა, რაკი, ძებნის შემდეგ, ვერ მოიკვლია და ობოლი ბატკანი, როგორც იყო, სხვა ცხვარს შეაჩვია, სხვას გამოაზდევინა. იგლოვა დედა ბატკანმა და გადაიგლოვა, თუმცა უდედობა დიდად დაეტყო, დაიჩაგრა, რის გამოც მწყემსებმა იმას „ობოლა,“ „ნაგალა“ დაარქვეს და სახარჯ თოხლების რიცხვში ჩასწერეს: ან დაჰკლავდნენ, ან გაჰყიდდნენ,—როგორც გარემოება მოითხოვდა...

ცხვარი შეეჩვია ტყეში ცხოვრებას, ახლა ისე აღარ გეშინოდა, როგორც წინად. გაიცნო ყველა ნადირის ზნე ცალ-ცალკე—საშიშს ერიდებოდა, ხოლო უწყინარს აღარ უფრთხოდა. ერთ შველს კადეც დაუმეგობრდა.

— შენი სახელი, დობილო?!—ჰკითხავდა შველი პირველ გაცნობაზე, როცა ვეძაზე შეჰხვდნენ ერთმანეთს.

— არ ვიცი.—მიუგო ცხვარმა.

— როგორ? არ იცი, რა გქვიან? არ მესმის,—უთხრა შველმა ღიმილით:

— მაშ, არც ის იცი, სადაური ხარ?

— ის ვიცი,—მიუგო ცხვარმა:—აქაური ვარ, სწორედ აქაური, სადაც დღეს მხედავ.

— ჰმ, ჰმ,—წარმოსთქვა შველმა გაკვირვებით:—არა ხარ, დობილო, აქაური, არა გცოდნია, შენ შინაური ცხოველი ხარ, შენი სახელი, საცოდავო, ცხვარია, ნუ თუ ეს არ იცი?..

ცხვარს მხოლოდ თვალები დაეჭყიტა და გაკვირვებით შეჰყურებდა შველსა, ცოტა არ იყო, შეჰრცხვა, რომ თავისი სახელი არ იცოდა.

— მაშ, შენ რაღა გქვიან?—დაეკითხა შველს ცხვარი.

— შველი,—მიუგო:—აბა უცქირე ჩემს ფეხებს, რა ფეხები მაქვს. იცი, როგორი სირბილი ვიცი? როგორი გადახტომა? ოოო! შენ მე ვერ მიცნობ, დობილო, მალე გაჩვენებ ჩემს უნარს. შევლოკოთ ჯერ ცოტაოდენი მარილი. ვაი რომ შენ მებრალები, ფეხები მოკლე გაქვს, გაბერილხარ, დუმას დაბლა დაათრევ, არ გეცოდინება გაქცევა და, თუ ნადირი მოკლებულია ამ ნიჭს, უბედურია. იცი-კი, რომელია ჩვენთვის უფრო გამოსეული და უფრო საშიში მტერი და ან რა ჰქვიან?

— სახელი, მგონი, მგელი უნდა ერქვას, თვალებს აბრიალებს, ძაღლსა ჰგავს,—მიუგო ცხვარმა.

— ბიჭოს, შენ ძაღლსაც იცნობ? საიდან? როგორ? თუ მართლა აქა ხარ დაბადებული, არ გეცოდინება, მით უმეტეს თავისი სახელი არ იცი? უთხრა კვალად შველმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვარმა თავი დაჰკიდა და თვალებიდან ცრემლის
რები ჩამოუგორდა და დაბლა ბუერაზე წკაპ-წკაპი დაიწყო.
ცხვარმა ისე ამოიოხრა, რომ გული თან ამოატანა. ცრემლი
თავისას არ იშლიდა, მაინც ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

— ოჰ, წარმოსთქვა ბოლოს, დროს ცხვარმა;—ნეტავი
არ შაგყოდი, ნეტავი ისევ ისე დაძინებული ყოფილიყო
ჩემში ხსოვნა, როგორც აქამდის იყო მიყუჩებული. რამდე-
ნი რამ მომაგონა შენთან საუბარმა, ჩემო დობილო! ოჰ, ჩე-
მო შვილო, ჩემო პატარავ, პაწაწკინტელა შვილო, ვინ იცის,
ცოცხალი ხარ თუ მკვდარი? ჰოო, დიაღ, დიაღ, მე ცხვა-
რი ვარ, დიდ ფარას მოსხლეტილი, სწორებში გამორჩეული,
უპატრონოდ დარჩენილი და ამ ულრანს ტყეს შემობარებუ-
ლი. დღეის შემდეგ, მე უბედური ვარ, აქამდის მძინებია,
დღეს-ღა გავიღვიძე და ეს სულ შენი ბრალია, ჩემო დობი-
ლო!. ოჰ, უბედურო ჩემო თავო, საწყალო! მოსთქვამდა ცხვა-
რი. ვაი ჩემს თავს, ვაი, ჩემო შვილო, ჩემგან გაწირულო
ობლად, უპატრონოდ.

— მოიცა, დობილო, მოიცა! ძალიან ნუ შესწუხდები,
ჩვენ, ნადირები, სულ უპატრონონი ვართ უფრო ხშირად;
ჩვენი პატრონი პატარა გოგონა, თმიანას რომ ვეძახით, წე-
ლში ორჯელ თუ სამჯერ დაგვავლებს თვალს, დაგვხედავს,
დაგვხედავს იმ დროს, როცა შვლებს დიდი რამ ზარალი მო-
გველის ადამიანისგან, ან მგლისგან, მონადირეებს გზა-კვალს
აურევს, თოფებს ჩაუსველებს, მგლებს კრიჭას შეუკრავს,
დანარჩენ დროს სულ თავის თავის ინაბარადა ვართ მიტო-
ვებული, მაგრამ ცოცხლები ვართ, არც სიმშილი გვხოცავს,
არც სიცივე და მტერი ხომ მაინც არ დაგველევა, გინდ ადა-
მიანის ხელში ვიყვნეთ, გინდ ტყეში... გინდა დაბრუნება
ფარაში?

— ოჰ, თუ კი ჩემს შვილს ვნახავდი თვალით, თუნდ
მაშინვე მოვმკვდარიყავ!—სთქვა ცხვარმა:—მაგრამ საით და
როგორ, გზა მაქვს დაკეტილი. რომ არ ვიცი, სადა ვარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად დავხეტიალობ, რასა ვსჩადი,—სად ცხვარია, სად მე ვარ, მაგაზე ფიქრი ტყუილი თავის მტვრევაა, ჩემო დობილო, ტყუილი ოცნებაა! ოჰ, ოჰ!..

— ნუ მოიწყენ, ჩემო დობილო, ვიცხოვროთ ერთად, ღვთის მადლით, არაფერი გვაკლია. ჯავრს თავი არ უნდა მივცეთ, შვილს ღმერთი გაჰზრდის, ღმერთი უშველის, კარგად იქნება. განა მე არა მყავს შვილები, მაგრამ არც-კი ვიცი სად, რომელ კუთხეს მოექცნენ. იმათ გამოუდგე, ისინი ვიტირო, იმათ მოუარო? ნეტავი ჩვენ ყველამ თავის თავი შევინახოთ. ნადირი, თუ ყველა ცხოველი, საერთოდ ღმერთს ისე გაუჩენია, რომ მხოლოდ და მხოლოდ თავის თავს უნდა უვლიდეს, ჰპატრონობდეს: გააჩინოს შვილი, ზარდოს იმ დრომდის, მინამ თავისი რჩენა შაეძლება და მერე გაანებოს თავი; წავიდეს და, როგორც ენებოს, ისე იცხოვროს.

— კიდეც იმიტომ მტკივა გული, ჩემო კარგო, მიუგო ცხვარმა!—ჩემი შვილი ჯერ პატარა იყო, თავის რჩენა არ შაეძლო...

— დარდი, ბევრი ოხვრა, ჩვენი საქმე არ არის. მე დარდისა არაფერი მესმის, მუდამ მხიარულადა ვარ; მხოლოდ ცოტა ხანს მაშინ გამიჩნდება დარდი, როცა მგელი ან მონადირე მომდევს და, როცა იმათ მოვიშორებ თავიდან, სრულიად ბედნიერი ვარ. ასე, აბა, ახლა წავიდეთ ნელ-ნელა, შევყვეთ ამ სერს, აი, საღამომაც მოატანა, შევდგეთ ველებში, საღამოს ნიავით გავიგრილოთ გულ-მკერდი, გავახილოთ თვალი. ამიერიდან ჩვენ მეგობრები ვართ, ბევრს რასმე გიამბობ, რადგან ბევრი რამ გადამხედია და ვგონებ, თუ უბედურება ვაგრძნობინე, ბედნიერებასაც მიგწიო.—უთხრა შველმა... და გასწიეს ზევით სანიაოსკენ მეგობრებმა ბალახის ხოხნა-კორტნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ბალახით მოჯერებულნი შველი და ცხვარი გვერდის-გვერდ იდგნენ, ტყით შემორტყმულს, კალოს ოდენა ტიტ-ველ სერზე და ხარბად ჰსვამდნენ საღამოს მთიდან მონაბერს ნიავს. თვალწინ ეფინათ შავად მჩინარი ტყე, ხევებად მიჭ-რილ-მოჭრილი, გორი-გორს მობმული, ხევი-ხევში ჩაყუდე-ბული, ხეები, ქედებზე გამწკრივებული დარაჯებივით მწკრი-ვად, თითქოს განგებ დაურგავთო, ისე რომ ცის ტატნობზე თითოობით დასთვლიდა კაცი. ზევით, უტყეო, შიშველი მთე-ბი თავებს იბურავდნენ ჯანღით, თითქოს ნაომარნი არიან, ხმლით დაჭრილნი და წყლულებს იხვევენო. გარშემო მყუდ-როება იყო, ჩამი-ჩუმი არაფრისა ისმოდა, მხოლოდ ერთმა საზარელმა ხმამ დაარღვია ეს სიჩუმე. მეგობართა ცოტა მო-შორებით გაისმა: უუუ! და ამავე ხმით, მხოლოდ უფრო ბო-ხად უპასუხა მეორემ გალმიდან... ბინდ-ბანდი იყო ისე, რომ თოფის ნიშანი კიდევ დააჩნდებოდა.

გაწყვეტა თქვენის ხმისა! წაიდუდუნა შველმა:—არ არის კარგი ამბავი. მგლებმა გზა შეგვიკრეს, ჩემო დობილო, ჩვე-ნი აქედან დაძვრა არ შეიძლება; რომ წავიდეთ, ვაი თუ წინ შეგვეფეთნენ უხეირო ადგილს, გასაქცევი არ იყოს, მისაბ-რუნი, ან მოსაბრუნი. მე ვერაფერს ჩამომრჩებიან, გამოცდი-ლი ვარ. ბევრჯელ გამოვავლე პირში ჩალა, ვერ მივართვი ჩიჩია. შენი მეშინიან, მუხლი არ შეგწევს, ვერ გაეხვეწები და ისე მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ უნდა სადმე მოეფა-რო და მხოლოდ მე დავენახვები, მარტო მე ვეჩვენები, ეგები გამომეკიდნენ და შენ თავი დაგანებონ.

შველი ამას ცბიერად არ ამბობდა, მზად იყო ჭირი კის-რად ედვა, მაგრამ საქმე ისე არ მოჰხდა, როგორც შველი ფი-ქრობდა. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ფეხის ხმა მოვიდა და მგელმა იერიში პირდაპირ ცხვარზე მიიტანა და გაიგდო წინ, ტყუილად, ძალად ეჩხირებოდა შველი თვალებში, იმას ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიც არ უგდო. გაიგდო წინ და შთაინთქნენ ტყის სიბნელეში. მხოლოდ ხმელი ფოთლის შრიალი ისმოდა და ხმელი ხის ტოტების ლაწა-ლუწი. გამფრთხალმა შველმა ერთი ორჯელ მიიხედა მირბენალმა იქით, საითაც ცხვარი მგელმა გაიგდო და შეაფარა ტყეს თავი, გულ-ამოსკვნით მხოლოდ ეს წაილაპარაკა: დაილუპა საწყალი ცხვარიო!

მეორე დილას, იმ სერის დასწვრივ, სადაც წინა საღამოს მეგობრები სანიაოზე იყვნენ, ხევს მაღლიდან ყორანი დაჰყრანტალებდა, ხოლო მთებს თავიდან სახვევები მოეშორებინათ და დილის ოქროს ფერ სხივით იპოხდნენ ტიტველს თავებს; ერთის მთის წვერზედ ცხვრის ფარაც-კი გადმოეფინა და შორიდან ისე მოსჩანდა, როგორც დარჩენილი, მინამქრული თოვლი.

ვაჟა-ფშაველა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ ო მ ი.

ზღაპარი ვიქტორ ჰიუგოსი.

ომმა ყმაწვილი მოიტაცა. მხეცთა მეფემ ჩაჰკიდა პირი და მიაქანებდა თავის წყვდიადით მოცულ ბუნაგისაკენ. ტყეთა მბრძანებელის ბუნაგი მოთავსებული იყო ნაკადულთა სამშობლოს და ფრთოსანთა სამფლობელოში.

უძლეველის ძლიერებით თავ-მომწონე ლომმა მოიტაცა ყმაწვილი სრულიად უსაგნოდ; ბოროტი აზრი ერთხელაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოსვლია ფიქრად, მოიტაცა სწორედ ისე, როგორც ზოგ-ჯერ კაცი მოსწყვეტს მაისის გადაშლილს კოკობ ვარდს. მხეცთა მეფემ წაიყვანა ბავშვი, მაგრამ არას ერჩოდა, თითქო კიდეც ებრალებოდა. ლომები გულკეთილნი არიან.

საშინელს მდგომარეობას განიცდიდა ყმაწვილი მხეცთა მეფის ბუნაგში. ლომის საოცარი ღრიალი და საშინელი გრგვინვა გამოქვაბულს აყრუებდა. ყმაწვილმა არ იცოდა, რა იყო მოსვენება და მუდამ შიშით ცახცახებდა. საბრალო უმის ხორცითა და ბალახით იკვებებოდა.

ეს ბავშვი იყო ერთის მრისხანე მეფის შვილი. ყმაწვილი რვა წლისა იქნებოდა; ლამაზი იყო, როგორც კალმით ნახატი; შეხედულება შევარდნისა ჰქონდა; სრულიად დაწყნარებული პირის სახე და ხუჭუჭი თმა ერთი ორად ამშვენიერებდა ყმაწვილს.

მეფემ შვილის დაკარგვით სამეფო ტახტის მემკვიდრეც დაჰკარგა. საბრალო მამას პატარა, ორის წლის გოგონა ჰყავდა, მაგრამ იგი კანონით ტახტის მემკვიდრედ ვერ გამოცხადდებოდა...

მეფე, რასაკვირველია, სულითა და გულით იტანჯებოდა შვილისა და ტახტის მემკვიდრის დაკარგვით. მეფის ქვეშევრდომნი მხურვალედ მონდომილნი იყვნენ დახმარება აღმოეჩინათ თავის მბრძანებლისათვის და შეემსუბუქებინათ მისი დიდი და განუსაზღვრელი მწუხარება.

უეცრივ მწუხარებით მოცულ ხალხის წინაშე გაჩნდა რაინდი ვინმე გმირი, რომელიც ხალხს შეეკითხა: „რა ამბავია? რა მოხდაო.“ გაიგო თუ არა მეფის მწუხარება, რაინდი დაუყონებლივ გაექანა მხეცთა მეფის სამფლობელოსაკენ. ჯავარიან ქვებ შორის გამოთხრილი ხვრელი, საცა მკრთალი მზის სხივები შიშითა და კრძალვით აშუქებდა, იყო სამკვიდრებელი დიდებულის ლომისა. მხეცთა დიდებულ მეფეს საწოლად გაეხადა ციცაბო კლდის ნაპრალები, რომელსაც ხშირის ტყის წყვდიადი ფარდასავით ჩამოსწოლოდა. ირგვლივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის ქედებზედ ატეხილი ტყეები და მაღალი, ას წლოვანი მუხები მცველებივით თავს დასჩერებოდა სამეფო ხვრელს და მისკენ მიმავალ ბნელ გზებსა და შესასვლელებს სდარაჯობდა.

რაინდი-გმირი შევიდა მრისხანე ლომის სადგომში. საშინელი სურათი წარმოუდგა თვალ წინ. ყველგან და ყველაფერს კვლისა და ძარცვის სისხლიანი კვალი ემჩნეოდა. ყოველივე ლომის მრისხანე დიდებას ჰმოწმობდა. ჭერში პირი დაელო მეხისაგან გამონგრეულ სარკმლის მზგავსს სანათურს, საიდანაც მოკრძალებით ჩამოდიოდა მცირეოდენი შუქი. მხეცთა მეფე დამშვიდებით და ამაყად იწვა თავის ბუნაგში. ხშირი ფაფარი გვირგვინივით უმკობდა თავს ტყეთა მბრძანებელს. მხეცთა მეფე ჩაფიქრებით განისვენებდა. ლომმა თავისი ღრმა და ისარივით მჭრელი თვალები მედიდურად დააბრიალა და მრისხანედ გადაჰხედა შემოსულ რაინდ-გმირის აბჯარს, მაღალ ჩაფხუტს და მის გასაგმირად მომარჯვებულ წითელ ფრთას.

რაინდმა ქარქაშიდან იძრო თავისი ბასრი ხმალი.

— ტყის გველეშაპო! — მრისხანედ შესძახა რაინდმა: — შენ მოსტაცე საყვარელი, ღვიძლი შვილი ჩემს მბრძანებელს! დაუბრუნე ბავშვი ახლავ, თორემ დიდი უბედურება მოგელის! თუ ნებაყოფლობით დაუთმობ ყმაწვილს, მეგობრულად განვშორდებით ერთმანეთს, და თუ არა... გახსოვდეს, რომ პირველად არ ვებრძვი ლომებს! მე თვითონ ლომი ვარ! მრისხანე მხეცო, შენის შავის სისხლით ჩამოვრეცხ შენს სამარცხვინო საქციელს!

— აბა, სინჯე! — დინჯად სთქვა ლომმა, კატასავით ზეზედ წამოიწია, ბასრი კლანჭები დაანახვა რაინდს და პირისახეზედ ღიმილმა შეუთამაშა. იელვა რაინდის ბასრმა ხმალმა, აბჯარმა წკრიალი მოიღო. გმირი რაინდი და ფაფარ-აშლილი ლომი ერთმანერთს შეეჯახნენ; გაიმართა ცხარე, საშინელი, შეუბრალებელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ხელ-ჩართული ომი. განრისხებულმა მხეცთა მეფემ მაგრად ჩასჭიდა პრჭყალები თავის მოწინააღმდეგეს. გმირ-რაინდის აბჯარსა და ჯავშნისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ნაკადულებრ სისხლმა გადმოსჩქეფა. დაიღუპა გმირ-ლაინ-დი. განრისხებულმა ლომმა ნაკუწ-ნაკუწად აქცია გმირ-ირაინდი და შესჭამა კიდეც. გამარჯვებული ლომი დამშვიდებით წამოწვა, აშლილი ფაფარი კლდის ნაპრალზედ გადიბერტყა და ჩასთვლიმა.

II

ამას შემდეგ მხეცთა მეფის სამფლობელოში შევიდა მეუდაბნოე, რომელიც მთელს ქვეყანაზედ სახელგანთქმული იყო თავის ქადაგებით. მეუდაბნოე შეჭურვილი იყო ერთად ერთის იარაღით, თავის საუცხოვო მჭევრმეტყველებით. მხეცს კვლავ გამოელვიძა, დაამთქნარა და დინჯად გადაჰხედა შემოსულს მეუდაბნოეს. ლომის წინაშე იდგა ჩხირივით გამხმარი არსება, რომელსაც ტანთ ეცვა მომხო მაუდის ანაფორა.

ტყეთა ამაყმა მბრძანებელმა ზიზღით გადაიქნია თავი და ჰკითხა მეუდაბნოეს:

— რად გასჯილხარ?

— დაგვიბრუნე მეფე... დაგვიბრუნე ტახტის მემკვიდრე!

— რომელი მეფე?

— გაანთავისუფლე ყმაწვილი ამ საშინელ ბუნაგიდან; მიეცი თავისუფლება, დაუბრუნე მშობელ მამას, სამეფო ტახტს და სახელმწიფოს მკვიდრთ!

— მეფეს ამ პატარა ბალღს უწოდებ?

— რად მოიტაცე?

— ისე, ხუმრობით, თავის გასართობად; ძრიელ მოწყენილი ვარ ცუდსა და ავდრიან დღეებში.

— აბა, ერთის წამით მაინც წარმოიდგინე მამა მისი... საბრალო, როგორ ცხარე ცრემლებს აფრქვევს!

საშინელი გრგვინვა გაისმა საპასუხოდ ლომის მძლავრის გულის სილრმიდან:

— აკი მოჰკლა შეუბრალებელმა ადამიანმა ძუ ლომი?

— მეფის გულისათვის! ყველაფერს აგისრულებ, რასაც-კი მოისურვებ! — დიდებული ლომი სდუმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოველსავე შეცოდებას გაპატივებ! მეტი რალა ვქნა? ჰაპის ინდულგენციასაც [1]) მოგიპოვებ!

ლომი შეიჭმუხნა, ხშირ ბალნიანი ბრჭყალებით ჰაერში შეითამაშა და დაყვავებით უთხრა მეუდაბნოეს:

— წადი, ჩემო მეგობარო!

მთლად გაფითრებული მეუდაბნოე დიდებულ ლომის ბუნაგიდან მწუხარედ გამოვიდა, რადგან თავის საწადელს ვერ მიაღწია.

III

ლომმა კვლავ დაიძინა. დაღამდა. ას წლოვან ტყის ზემოდ ამოცურდა ბადრი მთვარე, რომელმაც ყოველივე ვერცხლის ფრად შეჰღება. ხშირი აჩრდილები თანდათან იზრდებოდა. იდუმალ მოჩვენებათა მკრთალი რაზმები ფუტკარივით ერთმანეთში ირეოდა. ხშირი ნისლი დასწოლოდა ტყეებში მოჩუხჩუხე წყაროებს. მთელი ბუნება ღრმა ძილს მისცემოდა. ამ სასტიკ მყუდროებას და ღვთიურ მდუმარებას არღვევდა მხოლოდ ლომის ძლიერი სულთქმა.

უეცრივ გაისმა ყვირილი, ხმაურობა და ერთი ალიაქოთი შეიარაღებულ ბრბოსი. გარკვევით მოისმოდა ძილით მოცულ ლომის ხვრელში საყვირის ხმა და ყეფა. მთის ქედებმაც ბანი მისცა ამ ხმაურობას. ეს იყო ხმაურობა მეფის ლაშქრისა, რომელსაც შური უნდა ეძია ტახტის მემკვიდრის გატაცებისათვის. მეფემ მრისხანე ლომის წინააღმდეგ გაილაშქრა. მეფემ დიდებულ ლომის თავს დასხმა მიანდო გამოცდილსა და კადნიერ მონადირეებს. მონების მთელი ლაშქარი მეფემ ღამით, სრულიად მოულოდნელად, გაჰგზავნა ლომის თავდასასხმელად. მეფის ლაშქარს ტახტის მემკვიდრე უნდა გაეთავისუფლებინა და მრისხანე ლომი სასტიკად დაესაჯა. მეომრებს დავალებული ჰქონდათ ლომისათვის ტყავი გაეძროთ და, ნი-

[1]) ცოდვათა მიტევების მოწმობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შნად თავის გამარჯვებისა, ეს საუცხოვო ტყავი სასახლის ბალ-ღალს დარბაზში ჩამოეკიდნათ.

მხეცთა დიდებულ მეფეს ძილში კანტი-კუნტად შემოესმა უამრავ ბრბოს ხმაურობა და ყიჟინი. ლომმა თავიც-კი არ წამოსწია, წყნარად გაახილა მოელვარე და მრისხანე თვალები, კუდი განზე გადაგდო და ისევ ძილს მისცა თავი.

საზარელი ყვირილი და ყეფა თანდათან უფრო გარკვევით მოისმოდა. მხედრობა იერიშით მიდიოდა დიდებულ ლომის სამკვიდრებელზე. მეომრები ნაჯახებით სჩეხდნენ გაუტეხელსა და შეუვალ ტყეს. მეისრეები მეგობრულ რაზმებს ადგენდნენ და ხელში ისრებს იმარჯვებდნენ. ერთბაშად ყოველივე დადუმდა, ყეფის ხმაც მისწყდა. გზის მაჩვენებლები ანთებულის ფარნებით ხმა ამოუღებლივ მიუძღოდნენ ლაშქარს წინ, მაგრამ ეს წლოვან უზარმაზარ ხეებ ქვეშ აბიბინებულ ბალახზე ძლივს-ღა იმაგრებდნენ ფეხს.

უკვე შავად მოსჩანდა ლომის ბუნაგის სარკმელივით ჩანგრეული სანათური. მის დანახვაზე ყველანი გაუგებრად შეშფოთდნენ და ერთბაშად შეჩერდნენ. საშინელი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ ლაშქარს: მრისხანე ლომი უკვე თავის ბუნაგიდან გამოსულიყო.

ბრბო შეშფოთდა, ყველას სუნთქვა დაუმძიმდა და გულმა საშინლად დაუწყო ცემა. მამაცი მეომრებიც-კი უნებლიედ შეშფოთდნენ. ძლივს-ღა მოიკრიბეს იმოდენი ძალა, რომ გაუბედავად მოჰკიდეს ხელი მძიმე ისრებს. და აი მეომრებმა სტყორცნეს ისრები და სეტყვასავით დააყარეს ამაყ ლომს.

ლომი უძრავ მთასავით შეუმდრკალი იდგა და მრისხანედ და სასტიკად თვალებში შესცქეროდა მოსეულ მეომრებს. მეომრებს თავს ზარი დაეცათ. ძაღლებმა შიშით ხმა შესწყვიტეს და ცახცახით მეომრების ზურგს უკან იმალებოდნენ.

უეცრივ ღამის წყვდიადში, საერთო მდუმარების დროს, მოულოდნელად გაისმა ძლევა-მოსილი, ქუხილივით მგრგვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავი, ლომის ლრიალი, რომელმაც მონების რაზმი ერთბაშად შეაშფოთა და დაარეტიანა. თავზარ-დაცემული მეომრები ღამის წყვდიადში დაიფანტნენ. უთავბოლოდ უკუიქცნენ რაზმების უმფროსები. მშვილდ-ისარის მსროლელნი თავდავიწყებით, უკან-მოუხედლივ სამარცხვინოდ გარბოდნენ, ერთმანეთს ეხლებოდნენ და მიწაზე ჭერეხებივით ეფინებოდნენ.

მხეცთა დიდებულმა მეფემ სამარცხვინოდ უკუქცეულ ლაშქარს თან ხმამაღლა მიაძახა:

—თავისუფალი ლომი უფრო ძლიერია, ვიდრე ათასი შეიარაღებული მონა!

ამ ხმას ბანი მისცა მთებმა, ტყეებმა და ამას შემდეგ კვლავ მყუდროება ჩამოვარდა. მაგრამ დიდებულ ლომს არ შეეძლო ეპატივებინა მეფისათვის ღამით თავ-დასხმა და ხელ-შეუვალ ტყეების ასე კადნიერად შელახვა და განადგურება. დიდებული ლომი ავიდა მაღალ მთის წვერვალზე და იქიდან მრისხანედ დაჰლრიალა ძილით მოცულ ბარს:

—მეფევ! შენ დაგვიწყებია ომში შემოღებულ წესების პატივისცემა! შენ სულმდაბლობით მოიქეცი! გეშინოდეს სამკვდრო-სასიცოცხლო შურისძიებისა! აქამდე ვზოგავდი შენს უდანაშაულო ბავშვს, მაგრამ ხვალ-კი საბრალოს კატასავით წავახრჩობ, მამავ, შენ თვალწინ! დეე, შენმა მონებმა უცქირონ, და ჰნახონ, რა საშიშია ლომი, როცა ვისმე შეიძულებს! მაშ, ხვალამდის, განთიადისას!

მისწყდა ლომის ქუხილი. მთელმა ქალაქმა-კი გარკვევით გაიგონა მრისხანე ლომის მუქარა.

IV

ირიჟრაჟა. გრძლად გაჭიმულს ქუჩებზე ყველანი სახლებში ჩაიკეტნენ. ირგვლივ უდაბურ მოედნებზე კაცის ჭაჭანება არ იყო. სატახტო ქალაქი დაცარიელდა. დიდებული ლომი ამაყად მიიმართებოდა და გრძელ კბილთა შორის ნახევრად ცოცხალი სხეული ეჭირა ბავშვისა. დიდის ზეიმით, მძიმე ნაბიჯით მიდიოდა ლომი მეფის საუცხოვო და მაღალ სასახლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკენ. ლომი შევიდა სასახლეში. ირგვლივ სიჩუმე ეფინა, თქო სამარეაო.

სასახლის მცველებს, მეფეს და კარის კაცებს მრისხანე ლომის შიშით სასახლე მიეტოვებინათ და სამარცხვინოდ მიმალულიყვნენ. დიდებულ ლომს გაუმაძღარის შურის ძიებით სული პირში ებჯინებოდა. მხეცების მეფე სასახლის ასე დაცარიელების გამო ჯავრით გულზე სკდებოდა და ჰფიქრობდა: „ადამიანს არც გული ჰქონია და არც პატიოსნება! მეფევ, შე უგვანო მხდალო! შენის ლვიძლი შვილის გამოსარჩლებაც-კი ვერ გაგიბედნია“! ლომმა ამაყად შემოიარა საუცხოვო ოთახები და დიდი, ოქროთი მოვარაყებული დარბაზი. მთელი სასახლე ძლიერ ლომის ფეხ-ქვეშ ზანზარებდა. ყველა კარები მრისხანე მხეცის წინაშე თავის თავად იღებოდა. ლომი თავის ბოროტსა, ამღვრეულს და ჩასისხლიანებულ თვალებს ირგვლივ ელვასავით აბრიალებდა და მოხერხებულ ადგილს ეძებდა ბავშვის შესაჭმელად. მრისხანე მხეცს საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა ტახტის მემკვიდრესათვის ბოლო მოელო, შეეჭამა. სიმშილიც თან მოსვენებას არ აძლევდა გაბოროტებულს მხეცს.

უეცრივ დიდებულ ლომის წინაშე საუცხოვო სანახავობა გადაიშალა. ლომი ერთბაშად შესდგა. საუცხოვო სურათმა შეაშფოთა და გააცვიფრა. ლომს თვალ წინ საუცხოვო სურათი გადაეშალა: ნათელი ოთახი, სკამ-ლოგინი და მშვენიერი, ვარდისფერი, მრგვალი და მოციმციმე პირის სახის ბავშვი. განთიადის თეთრ-ყირმიზი სხივი პაწაწკინტელა არსებას თავს დაქათქათებდა და მის ოქროს ფერ ხუჭუჭ თმას, ნაზ სხეულს და ფუნთუშა ლოყებს ნაზად უალერსებდა. ეს საუცხოვო ბავშვი იყო მეფის უმცროსი პატარა ქალი, რომელიც მსახურებს დაჰვიწყებოდათ სასახლეში, როცა თავის საშველად სასახლეს სტოვებდნენ. ბავშვი ის იყო იღვიძებდა და წყნარად ღიმებოდა. შიში რა იყო, აბა, რა იცოდა და კიდეც ამიტომ ასე უდარდელად ეგებებოდა დილის ამომავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის ცქრიალა სხივებს. ბავშვი მოჭიკჭიკე ჩიტივით შესტრფოდა და შეჰხაროდა მზის დიდებულ სხივებს და, ნიშნად კმაყოფილებისა, გულწრფელ სალამს მიუძღვნიდა დედამიწის მანათობელ მზის სხივებს. მხეცთა დიდებული მეფე მოკრძალებით შევიდა ბავშვის ოთახში. ლომს მართლაც თავის ყურებით ესმოდა ბავშვის წკრიალა ხმა და კისკისი, ნათლად ჰხედავდა ბავშვის სათამაშოებს, გარკვევით ამჩნევდა მის ტუჩებზედ მოხდენილს ღიმილს, თვალ და თვალ უყურებდა ბავშვის ნათელსა და მოციმციმე თვალებს და მის ტიტლიკანა ფეხებს.

პატარამ, მოჰკრა თუ არა თვალი უზარ-მაზარ მხეცს, მაშინადვე იცნო მის კბილთა შორის ჩამოკიდებული სხეული.

— ჩემი ძმა!.. მომეცი, მომეცი! —გაბედვით შეჰყვირა პატარა გოგონამ და წარბებ-შეჭმუხვნილმა ვარდის ფერი თითი მუქარით დაუქნია მხეცების დიდებულ მეფეს.

ბავშვების მთელი არსება იდუმალ ძალებით არის აღსავსე...

ლომმა ბაბთა-ნაკერ საწოლზედ დაუყონებლივ დასდო ყმაწვილი ისე წყნარად და გაფრთხილებით, თითქო დედა ავადმყოფ შვილს ლოგინზედ აწვენსო.

ლომმა შემდეგ აშლილი ფაფარი განზედ გადიბერტყა და თან წაიდუდუნა:

— აჰა! აქ არის! ნუ ჯავრობ! წაიყვანე, პატარავ, შენი ძმა!

ა. მიქაბერიძე





ედიტა და ქურდი.

(დასასრული)

III

ილით დედამ მხიარულისა და მომღიმარის სახით გამოიღვიძა.

— აგერა, ნიკსი, არც არავინ გაგვქურდა და არც არავინ შეგვაწუხა. მშვენივრად მეძინა. შენ, ჩემო კარგო, კარგად გეძინა, განა?

— დიაღ, დედიკო,—უპასუხა ცოტათი შემკრთალმა ედიტამ. არ უნდოდა შეეშინებინა დედა და არაფერი უთხრა ღამის სტუმრისა. დედამ აკოცა, მაგრამ ის კი ვერ შეჰნიშნა, რომ ედიტა შემკრთალია. მაშინაც კი ვერა შეატყეს-რა, როდესაც გამომჟღავნდა, რომ სახლში ქურდი ყოფილა. ედიტას არაფერი უთქვამს მამის დაბრუნებამდე. როდესაც მამამ შეამჩნია ედიტას უფერულობა, მოჰხვია შვილს ხელი და თან გაკვირვებით ამბობდა: რად წაიღეს ქურდებმა მარტო ედიტას სამკაულებიო. მაშინ კი ველარ მოითმინა ედიტამ და გამოამჟღავნა თავისი საიდუმლო.

— მამილო,—შეჰყვირა უცებ ბავშვმა აკანკალებულის ხმით,— მამილო, მე თითონ ვაჩუქე ისინი ქურდს.

— შენ თითონ, ნიკსი, შენ? კიტი, გესმის რას ამბობს? ჩვენი პატარა გოგონა შიშით ავად გამხდარა... ჰბოდავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მამა, არა ვბოდავ! —სთქვა ედიტამ. ტანჯულ-ბანკალდა ხმა და წასკდა ცრემლები, არ-კი იცოდა რადა,—მე გავიგე ქურდის შემოპარვა... ვიცოდი, დედას როგორ შეეშინდებოდა... მოვიფიქრე ჩავსულიყავ ქვევით, მეთხოვა ქურდისთვის, დედა არ გამოეღვიძებინა. წავედი, მამა, და ვსთხოვე. ქურდი ძალიან კეთილი კაცი გამოდგა... სულ იცინოდა და იცინოდა... დავრჩი იმასთან და დავპირდი მეჩუქებინა ჩემი ნივთები, თუ არ ახლებდა ხელს შენსა და დედას ნივთებს... მართლა, ძალიან კეთილი ქურდი იყო, მამა, სრულებით არ უნდა ქურდი იყოს; თითონ მითხრა. სურს კარგი და პატიოსანი კაცი იყოს. უნდა გაზეთის გამომცემელი გახდეს.

ედიტა ნამტირალევის თვალებით მიეკრა მამას.

— კიტი, გესმის, გესმის, კიტი?—შეჰყვირა მამამ.

მაშინ დედაც მივიდა შვილთან, დაიჩოქა იმის წინ, ტიროდა, კოცნიდა და ამბობდა:

— ნიკსი, ხომ შეეძლო მოეკალი. ჩემო ძვირფასო, ჩემო სიხარულო, შეეძლო შენი მოკვლა... ღმერთო ჩემო!

— არა, საყვარელო დედა, იცოდა, არ დავიყვირებ, რომ ცუდს არაფერს უზამ... ეს წინადვე ვუთხარი...

ედიტას ვერ გაეგო, რადა ტიროდა დედა ასე მწარედ და ან რადა აქვს მამას თვალები ცრემლით სავსე, როცა მაგრა იკრავს გულში თავის ქალსა.

— ფრენსის! მე ვარ დამნაშავე, მარტო მე,—ტირილით ამბობდა შეშინებული დედა:—მეტად ვიყავ საზოგადოებაში გართული. მაპატიე, ფრენსის! ოჰ, ღმერთო ჩემო! ამან კი, ჩემმა საცოდავმა გოგონამ, თავის თავი არ შეიბრალა, ოღონდ მე არ შემშინებოდა, თავისი ნივთები მისცა ქურდს, რომ ჩვენი გადაერჩინა... ჩემო კარგო, საცოდავო შვილო, ახლა აღარ მოგშორდები... არასოდეს აღარ დაგტოვებ მარტოს.

—

ეს უცნაური ამბავი ძალიან კარგად დაბოლოვდა. საათი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეწკვი და დიდიდედას მარგალიტებიც კი თავის დროზე და-
უბრუნდა თავის პატარა პატრონს.

ექვსის თვის შემდეგ ედიტას „კეთილი ქურდი“ ჩაუვარ-
და პოლიციას ხელში, როგორც თითქმის ყოველთვის ემარ-
თებათ ხოლმე ქურდებს, გაასამართლეს და გადაუწყვიტეს
გაგზავნა გამასწორებელ რაზმში, ესე იგი მოუსპეს თავისუფ-
ლება და დააკისრეს მძიმე სამუშაო სამშობლოდან ძალიან
შორს.

ერთ მშვენიერ დღეს ედიტას მამასთან მოვიდა ერთი
პოლიციელი და გადასცა თხოვნა ციხეში დამწყვდეულ ერ-
თის ქურდისა. დატყვევებულს სურდა ენახა ედიტა, რადგან
ძალიან საჭირო საქმე მაქვს იმასთანაო. ედიტა და იმისი მამა
წავიდნენ ციხეში ქურდის სანახავად. როდესაც შევიდნენ
ტუსაღის ოთახში, ედიტამ მაშინვე იცნო ქურდი.

— როგორ ბრძანდებით, მილორდ? — ჰკითხა ედიტამ
ალერსიანად.

— ვერაფრად, ქალბატონო, რადგან აქა ვარ დამწყვდე-
ული, რაც უნდა იყოს ციხეა და, რასაკვირველია, ჩვენის
ჯანმრთელობისთვის მავნებელია, სწორედ ცოცხლივ დამარ-
ხვაა.

— გეყოფა ლაქლაქი, საქმეს შეუდექი, სთქვი, რისთვის
შეაწუხე ეს პატიოსანი ხალხი?—უთხრა პოლიციელმა.

ქურდმა, თუმცა ეს ყველას ეუცხოვა, ლეიბის ქვეშიდან
გამოიღო ედიტას ყუთი, მისცა და უთხრა:

— აი, მიირთვით, აქ ყველაფერი სრულად არის, ქალ-
ბატონო... ამ დილით ერთმა მნახველმა მომიტანა... იცით,
ქალბატონო, მაშინვე გადავწყვიტე შემენახა თქვენი ნივთე-
ბი... რადგან ისე ძლიერ შემიყვარდი, ჩემო გოგონა... ჩემო
მშვენიერო!.. გარწმუნებთ, ბატონო,—განაგრძო ქურდმა და
მიუბრუნდა ედიტას მამას,—ბევრი რამ საკვირველი მინახავს
ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ ამისთანა იშვიათი ბავშვი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ეს თქვენი ქალია, არ შემხვედრია. სწორედ ტანისამოსი ანგელოზია. როგორ გაბედა ამ პატარა ჩიტუნიამ ჩემი დაჭერა. ფეხშიშველა, პერანგის ამარა ჩამოვიდა, ისე ჭკვიანურად ლაპარაკობდა, როგორც დიდი ადამიანი. „მხოლოდ იმასა გთხოვთ,—მეუბნებოდა, დედა ჩემი არ გააღვიძოთ, ძალიან შეეშინდება, იქურდეთ ისე, რომ არ ისმოდეს. მე,—ამბობდა,—პატარა ვარ და არც არას დაგიშავებთო. ისე გავხდი, თითქო ენა მუცელში ჩამივარდაო, თვალები თითქო გადმოცვივნას მიპირობდა, სიცილით ფერდები მაწყდებოდა.

გავიფიქრე: მოდი არ წავიღებ ამ გოგონას ნივთებს; სირცხვილია ჩემთვისა-მეთქი. მაგრამ მე თითონაც არ ვიცი, რისთვის და როგორ წამოვიღე... ალბად იმიტომ რომ ადამიანი სუსტი და უძლურია. მეც ველარ დავძლიე ჩემ თავს.

ნივთები ყველა იყო კოლოფში და ედიტა ისე იყო გახარებული იმათ ნახვით, რომ ლაპარაკიც ვერ მოახერხა, სიხარულმა დაამუნჯა.

მაგრამ მალე მოვიდა გონს, გაუწოდა ქურდს ხელი და გულით გადაუხადა მადლობა.

— დიდად, დიდად გმადლობთ, მილორდ!.. ჭეშმარიტად, ძალიან მწყინს, რომ თქვენ ასე შორს ბგზავნიან... მამა ჩემი ეცდებოდა თქვენთვის ადგილი ეშოვნა... მხოლოდ შიშობს, რომ გამომცემლად არ ივარგებდით.

ქურდმა ერთი თვალი მილულა, გადახედა პოლიციელს და სასაცილოდ დაიმანჭა სახე.

პოლიციელი გაჯავრებული მიტრიალდა და ისე იდგა, სანამ ედიტა არ გამოეთხოვა თავის „კეთილ ქურდს“.

არც ამით გათავდა ეს ამბავი.

რამდენისამე კვირის შემდეგ, ედიტამ უცებ მიიღო საჩუქრად პატარა კოლოფი, რომელიც მოიტანა ვიღაც საეჭვო შეხედულობის, დაფლეთილ ტანისამოსიანმა კაცმა. მიაჩეჩა კოლოფი მოსამსახურეს, რომელმაც კარი გაუღო, და საჩქაროდ გაჰქრა. კოლოფში ძველებური ვერცხლის ძალიან დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათი აღმოჩნდა. საათის სახურავზე შიგნით დაბლაჯნილი იყო შემდეგი სასაცილო წარწერა:

„ჩემ კეთილ
პატარა ციცუნიას,
მეგობარ ამხანაგისგან
და კეთილისმყოფელისგან
ლორდ სალდჟირნონ ხედუვარტ
ხალბერტონისგან
პინტოვილ
ჰაიდ პარკი“.

ეკ. ლორთქიფანიძისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშარის ხატი.

(ფშაური ლეგენდა).

I

ლაშარის წმინდა გიორგის
ხატი ძლიერი არიო,
საველრებელად მოუდის
მთის ხალხი მრავალგვარიო,
შესაწირველად თან მოჰყავთ
ზვარაკი, კურატ-ხარიო...
წრფელსა ვედრებას შეისმენს
იესო მაცხოვარიო.

ლაშარის სახელს იცნობენ
ყოველნი ყოველ მხარისო,
განუწყვეტელად მიდიან
მლოცველნი მთის და ბარისო;
მხოლოდ ვერ მიდის ვერავინ
აფციაურთა გვარისო,
მივიდეს,— აღმოიფხვრება,
ასეა ნება ჯვარისო.

II

მაღალ მთაზე სდგას ამაყად
მუხა ათასის წლისაო,
არ ეშინიან გულადსა
ქარ-ბუქის, თოვლ-ყინვისაო;
მისი წერწეტი ტოტები
მოსამზღვრე არი ცისაო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასცქერს სამყაროს და იცის
ამბავი ყოვლის მხრისაო.

ვერ შეფრინდება ფრთოსანი,
ახლო არა სდგას მცენარე,
ვერ ეკარება ნადირი,
შორით ჩაუდის მდინარე,
მის ჩრდილში არვის უნახავს
ადამიანი მძინარე,
ეტრფიალება მას მხოლოდ
მნათობი პირ-მომცინარე.

ნეტავ რატომ აქვს ყველასა
მისი ასეთი რიდია?
ალბად იმიტომ, რომ ცაზე
ჯაჭვი ოქროსი ჰკიდია,
ჩასჭიდებია მუხასა,
ზეცისკენ აუზიდია
და ცის კამარა გუმბათზე
კანდელად დაუკიდია?..

ლაშარის წმინდა გიორგი
ჯაჭვზე ადის და ჩამოდის,
მოევლინება ქვეყანას,
როცა მნათობი ამოდის.
შეშინებული ნადირი
ტყიდან ველარა გამოდის,
ასე ჰგონია ბეჩავსა,
თითქო ზეციდან ქვა მოდის.

მაგრამ იქ, საცა ცხოველმა
დაიცვა პატიოსნება,
იქ, საცა ბუდის კეთება
ჩიტისთვის იყო ოცნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანმა უსირცხოდ
მოჭრა მუხისა ინება,
მოიღო ცული ფოლადის,
ფეხით გასთელა ღვთის მცნება.

მაგრამ ხე ცულის დარტყმისგან,
არა თუ არა თხელდება,
პირიქით, ყოველ დაკვრაზე
უფრო და უფრო სქელდება,
მისი ყოველი ჭრილობა
წამსავე ისევ მთელდება,
მომჭრელი მისი ჯავრისგან
ბრაზიანდება, ხელდება.

ათას წლოვანის წაქცევა
შეიქმნა შეუძლებელი,
ისევ ისე სდგას ამაყად
უშიში, უკარებელი.
მაგრამ რა არი ამ ქვეყნად
კაცთაგან შეუტყობელი?
ამ მუხის საიდუმლოცა
არ დარჩა გაუგებელი.

ამის შესახებ არსებობს
დღეს გადმოცემა ფშაური.
აღმოჩნდა თურმე ვილაცა
გვარითა აფციაური.
ხალხის წინაშე წარმოსთქვა
მან სიტყვა რამ უცნაური,
ასტეხა სასიხარულო
ჩოჩქოლი, აურზაური.

სთქვა მოყვანება კატისა,
მჭრელთ წყალი დაალევინა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავ-ტარიანი დანითა
მჩხავანა დააკვლევინა,
იმისი სისხლი მან ირგვლივ
მუხასა წაასმევინა
და ამ ნაირად ქვეყანას
ძაძები ჩააცმევინა.

აფციაურის ნათქვამი
არ იყო თურმე ტყუილი.
დაჰკრეს თუ არა მუხასა,
ნადირმა მორთო ღმუილი,
მდინარე წყალი აქაფდა,
მძლავრად გაიღო შხუილი,
ხეს მოსწყდა ჯაჭვი ოქროსი,
მოიღო შუილ-შუილი.

რა ჯაჭვი ზეცას ავარდა,
მუხა მიწაზე წაიქცა,
გრიალ-გრიალით დაეშვა,
თითქო ქვეყანა დაიქცა;
ვინც იყო მის ქვეშ მდგომარე,
წამსვე მოჰკურცხლა, გაიქცა.
მას შემდეგ მუხა მოჭრილი
ლაშარის ხატად გადიქცა.

ამდენი ხნის მუშაობამ
უნაყოფოდ ჩაიარა,
არ ჩამოსწყდა ოქროს ჯაჭვი.
ზეცისაკენ აიარა;
იმედების გაცრუებამ
გულში ლახვრად დაიარა
და თავისი ჩანადენი
ხალხმა ცოდვად აღიარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III

მუხა დღესაც იქავე სძევს,
სხივი ისევ ეკონება,
თითქო გუშინ მოჭრილაო,
კაცმა ნახოს, ეგონება.
რომ ის ხატად ქცეულიყო,
ლაშარისა იყო ნება,
ფშავ-ხევსური თაყვანსა სცემს,
იმას ყმობს და ემონება.

ვინც ყმა არი ლაშარისა,
ოფციაურთ ემტერება;
მოსისხლეა დაუნდობი,
სანამ ქვეყნად ეტარება;
ქალს არ მისცემს, არც თვით ითხოვს,
ახლო არც-კი ეკარება,
იმათ გვართან საზიარო
დღე და ღამეც ემწარება.

აკაკი მცირე



ეროვნული ბიბლიოთეკა



გედეონ ვასილის-ძე გედევანოვი—მირალიანი.

ეაისის 6-ს ქართველ-სომეხთა შეერთებულმა საზოგადოებამ გადაიხადა ოცდა ხუთი წლის სასცენო ასპარეზზე მოღვაწეობის იუბილე თავის საყვარელ მსახიობის გედეონ ვასილის-ძის მირალიან-გედევანოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გედეონ ვასილის-ძე მირადიანი ტომით სომეხია. დაიბადა 1859 წელს ქალაქ ტფილისში. სწავლობდა გიმნაზიაში, მაგრამ სიღარიბისა გამო ვერ დაამთავრა. გამოვიდა, მოემზადა მასწავლებლობისათვის და მიიღო მასწავლებლის ადგილი სომხურ სკოლაში.

სიყმაწვილითვე ეტანებოდა და უყვარდა სცენა და ხშირად თამაშობდა.

1884 წელს შევიდა სომხურ დასში, შემდეგ მიწვეულ იქმნა ქართულ სცენაზედაც და ამ დროდან დაწყებული დღემდე გულ-მოდგინედ და დიდის სიყვარულით ემსახურება ორთავე მოძმე ერის სცენის გაუმჯობესობას. ამ 25 წლის განმავლობაში ბ-ნმა გედეონ ვასილის-ძემ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, როგორც სომეხთ აგრედვე ქართველ საზოგადოებისაგან. 6 მაისს საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება თავის საყვარელ მსახიობის იუბილეის ქართულ თეატრში. ამ დღეს მრავალი სიტყვა წარმოითქვა იუბილიარის დასახასიათებლად, სხვათა შორის, ჩვენმა რედაქციამაც მიულოცა და უნატრა კიდევ მრავალს წელს ჯანმრთელობა და მუშაობა სამშობლო სცენაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საოცარი არწივი.

(ჩინური ზღაპარი, თარგმანი).

ღარიბი გლეხი—კაო-ტე სცხოვრობდა შანტუნგის მხარეს. თუმცა ღარიბი იყო, მაგრამ ამასთანავე მეტად თავმოყვარეც იყო და სულ გამდიდრებას ოცნებობდა. ხშირად ასეთის ლოცვით მიჰმართავდა ხოლმე სიმდიდრის ღმერთს:—„ყოვლად მოწყალეო ღმერთო სიმდიდრისაო, სიღარიბის ატანა მეტი აღარ შემიძლიან, შეიბრალე შენი უბადრუკი მონა და მოუვლინე თითონ შენ ან შენის მსახურების ხელით კარგა ბლომა ფული.“

კაო-ტე ყოველ დღე იმეორებდა ამ ლოცვას, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მინდორში მარტოკა მუშაობდა.

ერთხელ მინდორში მუშაობის დროს ჩვეულებრივ თავის ლოცვას იმეორებდა მუხლ-მოდრეკილი; უცებ ცის ტატნობზე დაინახა უზარმაზარი არწივი. შეშინებულმა კაო-ტემ მოკურცხლა. მაგრამ არწივმა დაუძახა: მეგობარო, მობრუნდი, შენ შესაშინებლად კი არ მოვფრინდი, მინდა სიმდიდრე გაშოვნინო, რომელსაც მუდამ დღე ღმერთსა სთხოვო.

რა წამს კაო-ტემ გაიგონა სიმდიდრეო, მაშინვე გამობრუნდა. გახარებულმა და იმედ-მიცემულმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა არწივს:

— გამარჯობა, ბატონო არწივო, იმიტომ მოფრინდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ფულები მომცე? სიმდიდრის ღმერთმა ხომ არ გამოგზავნა გზავნა?

— გამოიცანი,—უპასუხა არწივმა, —ხვალ დილით მზის ამოსვლამდე მოდი ამავე ადგილს.

ეს უთხრა და გაფრინდა კიდეც არწივი.

— კაო-ტეს მუშაობაზე გული აუცრუვდა; დაბრუნდა შინ და თავის ოჯახობას ყოველივე უამბო. ყველანი განცვიფრებულები და გახარებულები ყურს უგდებდნენ. კაო-ტეს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ეშინოდა, მზემ არ ამომასწროს ხვალ და არ დავგვიანდეო.

დილის ოთხი საათი იქნებოდა, რომ ადგა, საჩქაროდ დაიბანა პირი და სირბილით გასწია დანიშნულ ადგილისკენ. არწივი იქ დაუხვდა

— დაეშურე,—უთხრა არწივმა,—შემჯექი ზურგზედ და მაგრად ჩამჭიდე ხელი. თუ გინდა სიმდიდრე მიიღო, რომელსაც ღმერთსა სთხოვდი, უნდა აღმოსავლეთისკენ წავიდეთ და ოკეანეს იქით გადავფრინდეთ.

კაო-ტემ, რომელიც სულ ფულების ფიქრში იყო, ყველაფერი აასრულა, როგორც არწივმა უთხრა; და წამს აღარ გაუკვლია, ისინი კიდეც მიფრინავდნენ მაღლა-მაღლა ცაში.

პატარახანს უკან კაო-ტემ ჰკითხა:—„მალე მივფრინდებით“?

— მოიცა,—უთხრა არწივმა,—და ნურც თვალებს გაახელ, რომ წყალში არ ჩავარდე.

მცირე ხნის შემდეგ არწივი მიწაზე დაეშვა და კაოტესაც ნება მისცა თვალების გახელისა

— ჰხედავ იმ სალაროს? შედი შიგ და, რაც მოგეწონოს, წამოიღე,—უთხრა ფრინველმა.

სალაროში რომ შევიდა, კაო-ტემ ჰნახა, თვალ-მარგალიტისა, ძვირფას ქვებისა და ოქროს ზოდების ხვავები სდგას. აღტაცებული ხან ერთს სტაცებდა ხელს, ხან მეორეს, მაგრამ იმდენი ვერ აიღო, რამდენიც სურდა, რადგანაც თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც კალათა წამოეღო, არც ტომარა. მაშინ გაიხადა გულის ხალათი და დაუწყო გავსება საუნჯით.

— დაეშურე, მეგობარო,—უთხრა არწივმა,—მალე მზე ამოვა; მზის ამოსვლის შემდეგ-კი ველარ მიგიყვან შინ და ამ სალაროში ამოგივა სული.

— მომიცადე ცოტაც, ბატონო არწივო,—უპასუხა კაოტემ,—მინდა სულ წამოვიღო, რაც აქ ლარი და განძია... და ხარბად ჰხვეტავდა და ჰყრიდა თავის ხალათში თვალ-მარგალიტს, მაგრამ ხალათი რომ ვერ იტევდა, ისევ ძირს იბნეოდა.

— როგორც გენებოს,—უთხრა არწივმა,—მე-კი ალარ შემიძლიან მოცდა, მზე ამოდის კიდეც,—და ამ სიტყვების შემდეგ არწივი გაფრინდა.

ამნაირად კაო-ტე თავის სიხარბემა და გაუგონრობამ იმსხვერპლა.

დ. ნახუცრიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავი ოპოპა.

(ზღაპარი).



ეებერთელა მიტოვებულ ბაღში განცალკევებით იდგა ფარდული. ფანჯრის მინები ჩამსხვრეული, იატაკი დაფერდებული და ჭერი ალაგ-ალაგ ჩანგრეულიყო. ბაღის ეს კუნჭული მიყრუებული და მყუდრო ადგილი იყო. ძველი ცაცხვები წყნარად ათავებდნენ თავის სიცოცხლეს. დაბალ ჯაგების წვრილი ტოტები ერთმანეთში გადახლართულიყო და გზებს მოსდებოდა მაღალი ბალახი.

ზაფხულობით ფარდულს ახლოს ხანდახან ბავშვების ხმაურობა ისმოდა: ორი ბიჭი მოირბენდა ხოლმე და კუთხეში ხეების ნაჭრებს, ნაფოტებს, თოკის ნაგლეჯებს, რკინებს, ხავსს, შუშას და ცარიელ ბუდეებს აწყობდნენ. სწორედ არ ვიცი რისთვის სჭირდებოდათ ეს ნაყარ-ნუყარი რაგინდარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევრად დანგრეულ ფარდულის კედლის ნაპრალში, ჯერ კიდევ შემოდგომის აქეთ, იდო ობობას თხელის ქსელისაგან გაკეთებული პარკუჭუნა; შიგ კი პატარა, ყვითელი კვერცხები ელაგა. ასე შენახული ეწყო ეს კვერცხები მთელის ზამთრის განმავლობაში.

დადგა მზიანი, თბილი და მადლიანი გაზაფხული. მზემ გაათბო დედა-მიწა და გააღვიძა მიძინებული ბუნება. ყოველი სულდგმული შეჰხაროდა გაზაფხულს და მზის სხივებს: ამწვანდა ხეები, აღყვავდა ვარდი, დაიწყეს ჩუხჩუხი ნაკადულებმა, აჭიკჭიკდნენ ფრინველნი. ყველა და ყოველივე ეტანებოდა მზესა და მის მაცოცხლებელ შუქს.

ქსელის პარკუჭუნაში კვერცხები დასკდა; იქიდან პაწაწკინა ობობები გამოძვრნენ; დახვრიტეს პარკუჭუნები — თავისი ბუდეები და სხვა და სხვა მხარეს გაიფანტნენ.

— შენ სად იცხოვრებ?

— შენ სადღა იცხოვრებ?

— შენ საით მიდიხარ? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს ძმები ობობები.

— მე აქ, ამ ფარდულში დავრჩები — დაიძახა ყველაზე დიდმა და ღონიერმა ობობის ბარტყმა.

— მე, აი, იმ ხეზედ ავალ, — სთქვა მეორემ, და ხელი გაიშვირა მოხუც, ფუღუროიან, ფარდულთან ახლო მდგომ ცაცხვისაკენ.

— მე კი ღობეზედ ავალ.

— მე სახლის სახურავში შევძვრები.

— მე კი ბავშვების ოთახის კუთხეში მოვიკალათებ: მინდა გავიგო, როგორა სცხოვრობენ ბავშვები.

— როგორც გნებავდეთ და მე კი სამუდამოდ ვრჩები აქა; ავიშენებ მშვენიერ სახლს და ვიცხოვრებ მარტოკა... ობობები ერთად ვერ იცხოვრებენ... სთქვა ერთხელ კიდევ უფროსმა ობობამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმებს ეწყინათ, ალარ გაუბეს მასლაათი და ბობლვეთ-ბეს წიეს სხვა-და-სხვა მხარეს.

— ზ-ზ-ზ-ზ... ნუ ტრაბახობ შენ, ობობაძე! ძლიერ კარგად გიცნობთ... ჩემ სიცოცხლეში ბევრი ობობა მინახავს. შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ულონო ხარ: ჯერ კიდევ ვერ შესძლებ სახლის აშენებას. იცხოვრე, ისწავლე და შემდეგ დაიწყე ტრაბახი... ზ-ზ-ზ-ზ-ზ... დაიზუზუნა ხარაბუზამ, რომელიც ფარდულში შემოფრინდა; დაეჯახა კედელს, ჩარჩოს, გაისწორა ფრთები და გაფრინდა.

მართალი სთქვა ხარაბუზამ: პატარა, მოყვითანო თეთრმა ობობამ ჯერ კარგად არ იცოდა მუშაობა. სცადა ქსელის მოქსოვა, მაგრამ კარგი არ გამოდიოდა.

დაიწყო ფარდულში ცხოვრება, თანაც ჭკუა-გონებას ინვითარებდა; ნადირობდა წვრილ ჭია-ღუაზედ და ისე ცხოვრობდა; ოთხჯერ გამოიცვალა ტანისამოსი: მთელ ტყავს ერთიანად გადიძრობდა ხოლმე.

როდესაც მეოთხეჯერ გადიცვა ახალი კანი, ობობა სწორედ ზღაპრის ჭაბუკი გახდა: მაგარი, მოხდენილი გამოდგა. მუცელი მსხვილის კვერცხის მსგავსი ჰქონდა, თავი და გულმკერდი ერთმანერთზედ მიეზარდა. თავ-მკერდის წინ თვალები და პირი ჰქონდა, უკან კი ნაცრისფერ ზურგზე თეთრი ბეწვებისაგან ჯვარი გაჰკეთებოდა.

— შენ ვინა ხარ?—ჰკითხა უეცრად შემოფრენილმა კრაზანამ

— მეჯვარე-ობობა გახლავარ! ვერა ჰხედავ, ზურგზე ჯვარი მაზის?—ამაყად უპასუხა ობობამ, შეჰხედა კრაზანას და დააღო პირი.

როგორც კი დაინახა კრაზანამ დაღებული პირი, მაშინვე გაფრინდა, ამ ამბავს სხვა მწერებსაც ვაცნობებო.

—ოჰ, კოლოებო, ბუზებო, ბუზანკალებო! უფრთხილდით ობობას... ღმერთო! რა საზარელი ხახა აქვს: ზევითა ღრანჭი უთავდება წვრილის კბილებით, კბილები ინძრევა და მჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროდ ეჭიდება ყველაფერს; კბილებს თავებში აქვს ნაჩვრეტები, საიდანაც შხამი გამოსდის!!!“

ამ დროს კი ობობა იცინოდა და ფიქრობდა: „დაიკათ, გამიცნობთ, ბუზებო, კოლოებო და ბუზანკალებო... ბევრი თქვენისთანები დამჭირდება სადილ-ვახშმად“... მედიდურად გაიმართა წელში, გაანძრია ბანჯგვლიანი თათები, გაისწორა ბრჭყალები და ყველა რვა თვალის შემწეობით გაფაციცებულმა დაუწყო ფარდულს თვალიერება.

— კეთილი! აი, ამ კუთხეში მოვეწყობი. აბა, მარდად შეუდგეთ საქმეს!

დატრიალდა ჯარა. ობობა ყოჩაღი მოსაქმე გამოდგა! და გასაკვირველიც არ არის: ასეთის იარაღის შემწეობით ყველას შეეძლო ამგვარადვე მუშაობა: მუცლის ბოლოში ექვსი, წვრილი ნაჩვრეტებით დაფარული მეჭეჭები ჰქონდა; ნაჩვრეტებიდან წებოს მსგავსი სითხე გადმოსდიოდა, რომელიც მაგრდებოდა ჰაერში და ამგვარად ძაფებად იბმოდა:

ჩვენი ობობა შეუდგა ამ ძაფების ერთ კუთხიდან მეორემდის გაბმას; ფეხის თათებს იშველიებდა, ბრჭყალებით ძაფებს ასწორებდა; ჰქსოვდა და ჰქსოვდა ბორბალივით, თან კი ფიქრობდა: „შუაში ვიჯდები, როცა კარგი დარი იქნება... აქ გავაკეთებ უფრო ხშირ ქსელს, კიდეებში კი უფრო თხელს.“

ქსელი სამაგალითო გამოდგა. ყველას გაუკვირდებოდა მისი ნამოქმედარი.

ქსელის ახლოს ობობამ ქსელისავე სახლი გაიკეთა, და ძაფებით შეაერთა ქსელთან. „სახლში დავიძინებ ღამ-ღამობით; იქვე ვიჯდები ცუდ დარში და მტრის თავდასხმის დროს“. გადასწყვიტა სამუშაოს გათავებით გახარებულმა ობობამ.

ცხელი დღე იდგა. ობობა ქსელის შუაგულს იჯდა ჩასაფრებული და უცდიდა გულუბრყვილო ბუზის ქსელში გაბმას.

„რა კარგი იქნება, ახლა რომ გაებას —ფიქრობდა ღორმუცელა,—მშიან! როგორც-კი გაებმება ქსელში, ვსტაცებ

ხელს, მოვახვევ ქსელს, ამოვწოვ უფერო სისხლს, შემოვაკერ რბილებს და გამოვხრავ. უჰ, რა გემრიელი იქნება"!

ჯერ არც კი დაეთავებინა ეს ფიქრები, რომ შეინძრა ქსელი: რაღაც გაება. გაექანა ობობა, შეჰხედა და გაბრაზდა. ჰხედავს: მობრძანდება მისი ძმა, ის, რომელიც ახლო ცაცხვზე ავიდა საცხოვრებლად.

— აქ რისთვის მოსულხარ?

— შემიშვი, ძმაო, შენთან მინდა ცხოვრება. დავიტანჯე ჩემ ცაცხვზე. ხან ქარი, ხან ჩიტები ჰხევენ ჩემ ქსელს, შენ ფარდულში-კი მშვენივრად თბილა და ძალიან ყუდროა.

— უკაცრავად, არ შემიძლია შემოშვება, მეც ვერ ვეტევი; სარჩო და სადავლი ძალიან ცოტა გახლავს.

— როგორც გენებოს, ძმაო; მე-კი აქედან არ წავალ. შეგიძლიან შენ წახვიდე.

— როგორ, ჩემ საკუთარ სახლიდან არ წახვალ?—დაიღრიალა მასპინძელმა.—გასწი, გაეთრიე, ავაზაკო!! გესმის? ახლავე გაეთრიე მეთქი!!

— არ წავალ! არ წავალ და არ წავალ!

— დარაჯნო! დარაჯნო! მიშველეთ! დაიყვირა ობობამ და ეცა თავის ძმას. დაიწყო ომი; არ ზოგავდნენ ერთმანეთს, ჰკბენდნენ, შხამავდნენ...

საქმე ძლიერ ცუდად დათავდა: ფარდულის პატრონი დაიღუპა. იმისი ავაზაკი—ძმა-კი დაემკვიდრა სახლსა და ქსელსაც. ისე გულდამშვიდებით ჩაბრძანდა შუაგულ ქსელში, თითქოს თავისი ნამუშევარი ყოფილიყოს. არამც თუ არ ებრალებოდა თავისი ძმა, არამედ უხაროდა კიდეც და ფიქრობდა: „მშვენიერი ქსელი გაუკეთებია ჩემ ძმას, რა კარგია, რომ მე მერგო"!

ერთ საღამოს ავაზაკი ობობა იჯდა თავის სახლში და ათვალიერებდა ქსელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეჰე! ახლა-კი გამოჩნდება რამე საკბილო! აი, ბუზი მოფრინავს... მშვენიერი, მსუქანი ბუზი... ჩამივარდები, გეთაყვა, ვახშმად ხელში“! ფიქრობდა სიხარულით.

— ბუზი ქსელში გაება. ბზუის საცოდავად, ფართხალებს, წვალობს... სიცოცხლე ხომ პატარა ბუზსაც სწყურია!

ეცა ობობა... ახლავე შესჭამს ბუზს... მაგრამ ამ დროს ფარდულში შემოვარდა ორი ყმაწვილი; ხელში წკეპლების კონა ეჭირათ.

— შეჰხედე, პავლე! ბუზი ქსელში ვაება.

როგორ ფართხალებს და ბზუის საცოდავი! —სთქვა ერთმა მათგანმა.

— მოდი უშველოთ!... ვანო, მოიტა ეგ ჯოხი! პატარა, ჩასუქებულმა ქერა ბიჭმა სწრაფად წაავლო ჯოხს ხელი, გაჭხია ქსელი და გაათავისუფლა ბუზი.

გახარებულმა ბუზმა მადლობა წაიზუზუნა და ბაღში შეაფარა თავი. ობობა სადღაც მიიმალა სწრაფად.

კორდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასტრონომი იყურება ტელესკოპში.

უძრავი და ცდომილი ვარსკვლავები.

(თარგმანი)

თვითეულს თქვენგანს, უსათუოდ, უნახავს კაშკაში ცა და, რასაკვირველია, შეუმჩნევია მის თვალ-გადუწვდენელ სივრცეზე, მთვარის გარდა, უთვალავი რიცხვი კაშკაშა-ვარსკვლავებისა, რომლებსაც, განსაკუთრებით ზამთარში, რაღაც აღტაცებასა და აუწერელ განცვიფრებაში მოჰყავს კაცი. რამდენისამე ასის საუკუნის განმავლობაში ანათებენ ვარსკვლავები: შესცქეროდნენ ამ ვარსკვლავებს ჩვენი ძველთა-ძველნი წინაპარნი, უცქერით ახლა ჩვენც და უცქერენ ჩვენი შთამამავალნიცა. მაშასადამე, თვითეული სულდგმული უცქეროდა და უცქერის ამ ბრწყინვალეცის მნათობებს; მაგრამ, საუბედუროდ, უმრავლესობამ არ იცოდა და არც ახლა იცის, რა არის ვარსკვლავი, რას წარმოადგენს? ჩვენმა წინაპრებმა არ იცოდნენ, რა იყო ვარსკვლავი, და აი როგორ ახასიათებდნენ: ვარსკვლავი ცის მნათობია, რომელსაც ღმერთები *) კაცთა პატივსაცემლად ყოველ ღამ აჩაღებენ. აი ასე ფიქრობდნენ ჩვენი წინაპარნი. მაგრამ, აღმოჩდნენ მათ შორის მსწავლულნი, რომელთაც

*) ძველად ხალხი კერპთ თაყვანის მცემელი იყო. მისის ფიქრით, თვითეულ კაცს, საგანსაც კი, ღმერთი ჰყავდა. მთარგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა სჯეროდათ ვარსკვლავთა ასეთი დანიშნულება. ეს ალ-ლობდნენ გამოეკვლიათ ვარსკვლავები და აეხსნათ მათი არსებობა. აი, სწორედ ამისათვის იწყეს ვარსკვლავთა გამოკვლევა და ბოლოს ბევრი ისეთი რამ გაიგეს, რაც წინაპართ სიზმარშიაც-კი არ ზმანებიათ.

თავდაპირველად ვარსკვლავებს უიარაღო თვალით იკვლევდნენ, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ ასე ბევრს ვერას გააწყობდნენ და ამისათვის მოინდომეს მოეგონათ ისეთი რამ, რის დახმარებითაც შესძლებოდათ ვარსკვლავთა უფრო ახლო მანძილზე გამოკვლევა. დიდის ხნის ცდის შემდეგ მოიგონეს ერთნაირი სამზერი მანქანა, რომელსაც სახელად ტელესკოპი უწოდეს.

აი, როგორ კეთდება ტელესკოპი: ხის ან რომელისამე ლითონის მომსხო მილში ორთავე თავიდან გამადიდებელ შუშებს სვამენ; მაგრამ ასეთი ტელესკოპები ძლიერ მძიმე იყო, ამისათვის მათთვის საგანგებოდ ერთგვარი სადგამი მოაწყვეს. შემდეგში ასეთი მილების დახმარებით მსწავლულებმა შეიძლეს ვარსკვლავების უფრო კარგად და დაბეჯითებით გამოკვლევა. ხანდისხან ისეთ ვებერთელა ტელესკოპებს აკეთებდნენ, რომ მათში რამდენსამე კაცს შეეძლო მოთავსებულიყო.

ასეთ ტელესკოპებს სდგამენ შენობაში, რომელიც საგანგებოდ მათთვის არის აგებული მაღალ მთებზე. ასეთ შენობებს ობსერვატორიებს ეძახიან. აი, ასეთ შენობებში და ასეთ მანქანების დახმარებით იწყეს მსწავლულებმა ვარსკვლავების გამოკვლევა. ასეთ მსწავლულებს ასტრონომებს ეძახიან. ობსერვატორიები ახლა თითქმის თვითეულ სახელმწიფოშია გამართული; რუსეთშიაც არის რამდენიმე.

აბა, ახლა ყური უგდოთ, თუ რას გვასწავლიან ასტრონომები ვარსკვლავებისა.

თვითეულ თქვენგანს უსათუოდ შეუმჩნევია, რომ ყველა ვარსკვლავი თანასწორი არ არის: ზოგი უფრო დიდია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგი პატარა; ამასთანავე შეამჩნევდით, რომ ისინი არ ერევიან
წყობით დამწკრივებულნი ცის თვალ-გადუწვდენელ ლურჯ
სივრცეზე; ერთ ადგილს ერთად რამდენსამე ვარსკვლავს აქვს
თავი მოყრილი; მეორედან-კი ვარსკვლავებს შუა დიდ-ძალი
მანძილია ცარიელი.

ცას შუაზე თეთრი ზოლი უვლის, რომელიც უდაბნოს
გზას მოგაგონებთ. ამ ზოლს სამგზავრო გზას ეძახიან. ამ
ზოლს რომ ტელესკოპში შევხედოთ, შევამჩნევთ, რომ ურიცხვ
ვარსკვლავებისაგან შესდგება, რომელნიც ისე ახლო არიან
ერთი ერთმანეთთან და ისე მჭიდროდ არიან შეკავშირებულ-
ნი, რომ უიარაღო თვალით ვერ ვამჩნევთ. ასეთი მოვლენა
სრულიადაც არ არის საკვირველი. ჩვენც ბევრჯერ შეგვიმ-
ჩნევია ასეთი იშვიათი მოვლენა ჩვენს დედამიწაზედ. მაგალი-
თად, ტრიალ მინდორში ცხვრის ჯოგი ბალახობს, შორიდან
რომ ამ ჯოგს შეჰხედო, გეგონება ერთ ცხოველად. მაგრამ
ტელესკოპით რომ შეხედო, შეამჩნევ, რომ დიდი ჯოგია,
რომელიც ნელ-ნელა იძვრის. ცხვრები კი ერთმანეთთან მჭიდ-
როდ არიან შეკავშირებულნი...

შემდეგ შეამჩნიეს, რომ ბევრი ვარსკვლავი ყოველ ღამ
ერთ და იმავე ალაგს ანათებს; ასეთ ვარსკვლავს უძრავი
უწოდეს: სწორედ ასეთი ვარსკვლავებითაა მოჭედილი მთე-
ლი ცა. მაგრამ ეს ვარსკვლავები დიალაც არ არიან უძრავნი;
ისინიც იცვლიან თავის მდებარეობას, მაგრამ ისე დინჯად, რომ
მთელი წელი უნდა ადევნო თვალი, რათა ბოლოს გაიგო,
რომელმა მათგანმა გამოიცვალა თავისი ადგილი. თავ-და-
პირველად ამის წარმოდგენაც-კი შეუძლებელი იყო, მაგრამ
ასეთი შეხედულობა თან-და-თან გამართლდა.

მსწავლულებს ჩვეულებადა აქვსთ ჩასწერონ, თუ ვინ,
როდის ან სად დაინახა რომელიმე ვარსკვლავი. ასეთ ნაწე-
რებს ვარსკვლავთა **ნუსხას** ეძახიან. შემდეგში, როდესაც
მსწავლულთა აღნუსხვა წაიკითხეს, აღმოჩნდა, რომ ბევრს
ვარსკვლავებს გამოეცვალა თავისი ბინა, ე. ი. აღმოჩნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბევრი ვარსკვლავი ალარ მოსჩანდა იქ, სადაც ოდესღაც ნისამე ასი წლის წინად ჩვენმა მსწავლულებმა შეამჩნიეს. აქედან შემდეგი აზრი შეგვიძლია დავასკვნათ: ვარსკვლავები ერთს ადგილს არ ჩერდებიან, ისინი ნელ-ნელა იძვრიან და თავის უწინდელ ბინას შორდებიან.

ვარსკვლავების გამოკვლევა რომ უფრო გაადვილებულიყო, მეცნიერებმა მთელი ცა რამდენსამე რაიონად (ნაწილად) გაჰყვეს; ყველა ვარსკვლავი, რომელიც ერთ-ერთ რაიონში შედის, შეადგენს ვარსკვლავთა კრებულს. თვითეულ ცოტად მაინც საყურადღებო ვარსკვლავთა კრებულს რომელისამე ნივთის ან ცხოველის სახელი ჰქვიან. ამის დაგვარად თვითეულ კრებულს რომელისამე ნივთის და ან ცხოველის ფორმა მისცეს, მაგ. ცხვრისა, ხბოსი, კიბოსი, საწონისა და სხვ.: შემდეგში, ვარსკვლავთა კრებულის საზღვრები სწორის ხაზებით შეზღუდეს; ასეთ ვარსკვლავთა კრებულის სახელს არავითარი კავშირი არა აქვს იმ ნივთთან ან ცხოველთან, რომლის სახელსაც ატარებს.

აი, საიდან არის წარმომდგარი ასეთი განსხვავება. იმისათვის კი არ აძლევდნენ რომელსამე ვარსკვლავთა კრებულს ამა თუ იმ ნივთის ან ცხოველის სახელს, რომ მის გამოხატულებას, ფორმას წარმოადგენდა, არამედ ამას სულ სხვადა-სხვა გვარი მიზეზი ჰქონდა; ამ შემთხვევაში თვითეული მეცნიერი—ასტრონომი თავისებურად იქცეოდა. ზოგნი მათგანი ვარსკვლავთა კრებულს ცხოველების სახელს აძლევდა, მაგ., ლომისას, მორიელისას და სხვ.; ზოგნი რომელისამე გმირის პატივის საცემლად მის სახელს არქმევდა, მაგ., ჰერკულესისას *) და სხვ.; ბევრი-კი რაიმე ნივთისასაც, მაგ., საკუთხესას, საწონისას და სხვ...

ვარსკვლავთა კრებულთ, რომელნიც იმ ადგილს იმყოფებიან, სადაც მზე თავის ხილულ გზას ასწორებს ჩვენის დე-

*) ჰერკულესი—ძველ ბერძენთა დიდებული გმირი იყო. მთარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და-მიწის გარშემო, უმეტეს ნაწილად ცხოველების სახელებით ეწოდება; მათი რიცხვი, თვეთა რიცხვის თანახმად, თორმეტია; ყველას სახელად ზოდიაკი, ესე იგი ცხოველთა წრე ჰქვიან.

ჩვენს დედამიწას გარშემო ცა აქვს შემორტყმული. არ არის აქ ისეთი კუთხე, სადაც თავზე ცა არ დაგვყურებდეს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ რომელსამე ადგილიდან მთელის ცის დანახვა შეუძლებელია. ყოველი სიმრგვალე ორ თანასწორ ნაწილად შეიძლება გაიყოს; აი, სწორედ, ჩვენს დედამიწასაც, როგორც სიმრგვალეს, ორ თანასწორ ნახევრადა ჰყოფენ; ჩვენ ჩრდილოეთ ნახევარში ვსცხოვრობთ; მეორე ნაწილს-კი სამხრეთი ნახევარი ჰქვიან. ჩვენი ჩრდილოეთ ნახევრიდანა მხოლოდ ვარსკვლავების ერთს ნაწილს უცქერით; მეორე მხრიდან, სამხრეთ-ნახევრიდან-კი-მეორესა მაგრამ ამასთანავე შეგვიძლია ჩვენის ნახევრიდან სამხრეთ ნახევრის ვარსკვლავების ზოგიერთ ნაწილს შევხედოთ. სწორედ ასეც სამხრეთიდან შეუძლიანთ ჩრდილოეთ ვარსკვლავების ზოგიერთ ნაწილს შეჰხედონ.

შეუიარაღებელის თვალით ჩვენ ძლიერ ვარსკვლავებს უცქერით. ასე რომ, პეტერბურგის ცის ფონზე მხოლოდ სამი ათასი ვარსკვლავი შეგვიძლია დავინახოთ. ყველა იმ ვარსკვლავთა რიცხვი, რომელიც უიარაღო თვალით შეგვიძლია მოვთვალოთ, სამოცი ათასს უდრის. მაგრამ სულ სხვა საქმეა ვარსკვლავის მოთვლა ტელესკოპების დახმარებით. რამდენადაც ტელესკოპი კარგია, იმდენად უფრო მეტი რიცხვი შეგვიძლია დავინახოთ ვარსკვლავებისა მის დახმარებით. კარგ ტელესკოპში რომ ვარსკვლავებს შეჰხედოთ, ვერც-კი მოსთვლით, იმდენს დაინახავთ.

თვითეულმა თქვენთაგანმა იცის, რომ წლითი წლობით ყველაფერი უმჯობესდება. ამ „ყველაფერში“ ტელესკოპებიც თან-და-თან გაუმჯობესდა. ასე რომ მათის დახმარებით დღეს ჩვენ ვარსკვლავთა და საერთოდ ყველა ცის მნათობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობას და ბუნებას უცქერით და ამის წყალობით ბევრს რასმე ვიკვლევთ.

უძრავი ვარსკვლავები, რომლებზედაც ახლა გვინდა მკითხველს მოველაპარაკოთ, თანასწორად არ ანათებენ; ისინი თითქოს ციმციმებენ. ერთი მათგანი, მაგ., ძლიერ ბრწყინავს; მეორე-კი მასთან შედარებით უფრო ნაკლებად; ამის და მიხედვით, მეცნიერებმა უძრავი ვარსკვლავები კატეგორიებად (ნაწილებად) დაჰყვეს; თვითეულ კატეგორიას განსაზღვრული სიდიდე და სინათლე აქვს.

ვასო ლამბაშიძე.

(შემდეგი იქნება)



ფუტკარი და მისი ცხოვრება.

წერილი მერვე

(უძღვნი ბუტკუჭელა გოგი ვარლამის-ძეს ჭიჭინაძეს).

(შემდეგი)

მე სულ სხვა ვარ, სულ სხვა ბუშა
და სხვა გდარად მოღვაწეო:
ზეცის მუშას მ ძახიან,
არ ვ:რ მარგო სამიწ ო. აკაკი.

სკები და ხელსაწყო იარაღები

ადრინდელ დროში ისე კარგად არ იცოდნენ ფუტკრით სარგებლობა, როგორც დღეს იციან. უწინ ფუტკარი ველურად იყო და, თუ ოდესმე ადამიანი მიაგნებდა იმ ფუღუროს, სადაც ფუტკარი იყო დაბინავებული, ხეს მოსჭრიდა, ფუტკრებს გაანელებდა (დახოცდა) და თაფლს ამოაცლიდა. ადამიანმა არ იცოდა ფუტკრით ისე ესარგებლნა, რომ ცუდი საქმე არ ჩაედინა, არ ამოეხოცა ამდენი პატიოსანი მშრომელი. რაღა შორს მივდივართ: დღესაც არის საქართველოში ისეთი ველური კუთხე, სადაც ანელებენ არამც თუ გარეულ ფუტკარს, არამედ შინაურსაც. აი, მაგალითად, რაჭაში ან კიდევ ხევსურეთში, თუ სურთ რომ თაფლი ამოაცალონ, სკა მიაქვთ ზამთრის ყინვაში მდინარის პირად, გაყინულ ფუტკრებს წყალში ჰყრიან და თაფლი სახლში მიაქვთ. ეს ნამდვილი ბარბაროსობაა. მაგრამ დრო წინ მიდის, ველურობის ხანა უკან რჩება და ქვეყანაში სწავლა-მეცნიერება შემოდის. რა დარგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდა ცხოვრებისა, რომ მეცნიერების წყალობით, სწავლულ-კაცების მეოხებით, არ გაუმჯობესდა. ასეა ჩვენის ფუტკრის საქმეც. ამ ორმოცდა ათი წლის წინად ჩვენზე განათლებით წინ წასულმა ევროპიელებმა მიაქცივეს ფუტკარს ყურადღება და, ნაცვლად ჩვენებურ მოუხმარელ, დაუშლელ „როფისა, ბიკვებისა“, მოიგონეს ადვილად მოსახმარი ჩარჩოიანი სკები. ჩარჩოიანი სკა პირველად მოიგონეს შვეიცარიაში. მის პირველი მომგონი იყო ჟენეველი **ფრანსუა გუბერი.** გუბერი თავის ღირსეულ მოგონებისთვის ითვლება მეფუტკრეთა მამათ-მთავრად. იმის მოგონილ სკას, როგორც პირველს, რასაკვირველია, ნაკლი ჰქონდა, მაგრამ ის სკა დაიდვა მაინც საფუძვლად და შემდეგ სხვა სწავლულმა მეფუტკრეებმა პირველი მოგონილი გააუმჯობესეს, რაც წუნი ჰქონდა, შეასწორეს, შეავსეს და დღეს ხელთა გვაქვს ისეთი კარგი, ადვილი მოსახმარი სკა, როგორიც არის სკა დადანისა და სხვა მეფუტკრეებისა.

დადანის სკა ერთის შეხედვით ჰგავს პატარა სახლს. აქვს ოთხი კედელი, რომელიც სდგას **მოძრავ** ფსკერზე; აქვს სახურავი, რომელიც ცალკე აიხდება. როცა სახურავს ავხდით, შიგნით სკაში ალაგია თორმეტი ჩარჩო. მთელი საიდუმლოებაც ამ ჩარჩოებშია. ჩარჩოების წყალობით სკა ადვილი მოსახმარია. ფიჭები თითო-თითოდ ჩარჩოებშია და შეგვიძლია, რომელიც გვესურვება, ის ამოვიღოთ, ფუტკარი გადავბერტყოთ და, როგორც გვსურს, შემდეგ ისე მოვიხმაროთ. როცა ფუტკარი ქვემო სართულში მოძლიერდება, მოლონიერდება, გაავსებს ძირის ნაწილს, რომელსაც **ბუდეს** ეძახიან, მერე ზემოდან გადაადგამენ მეორე სართულს „საკუჭნაოს“. საკუჭნაოში დედა ფუტკარი არ ადის. ამისათვის იქ მუდამ წმინდა



დადანის სკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაფლია. ზამთრის სიცივის მოახლოვების დროს საკუჭნაოს აცლიან. ჩარჩოების ზემოდ ტილოს ტომარას აფარებენ, თივით გატენილს, და ასე თბილად სტოვებენ. ასეთის სკების მეოხებით ფუტკრები გვეჩვევა, შინაურდება. ადვილად შეგვიძლია გავიგოთ, რა უჭირს და რა ულხინს; ყოველთვის მივეშველოთ, ჩვენც ვისარგებლოთ და ფუტკრებსაც მოუაროთ და ღირსი ღირსეულ პატივისცემაში გვყავდეს.

სხვა სწავლული მეფუტკრე არ დაყაბულდა მარტო ჩარჩოიან სკის მოგონებას და ეცადა მასაც გაეუმჯობესებინა ფუტკრით სარგებლობის საქმე.

ჩვენ ვიცით წინა საუბრიდან, რომ ფუტკარს სჭირდება ერთ გირვანქა ფიჭის გასაკეთებ ლად 8—12 გირვანქა თაფლი. ერთმა მეფუტკრემ იფიქრა, პირდაპირ მზა-მზარეულ ფიჭის მიცემა. ამისთვის გააკეთა ისეთი მანქანა, რომელიც წმინდა სანთლისგან აკეთებს ფიჭას. ამ რიგად ფუტკრებს მანქანით გაკეთებულ ფიჭას აძლევენ, რაც ფუტკრებს ღონისძიებას აძლევს შეაგროვონ უფრო მეტი თაფლი. ახლა სხვა მეფუტკრემ მოიგონა სხვა მანქანა. ეს მანქანა სავსე სარაჯების დასაცლელია. მეფუტკრე ჩააწყობს შიგ სავსე სარაჯებს, დაატრიალებს და საკვერცხეებიდან წმინდა ანკარა თაფლი გადმოიღვრება, ფიჭა-კი რჩება და შეგვიძლია ისევ ჩავდგათ სკაში მზა-მზარეულად. ეს მანქანა ორ საქმეს აკეთებს: ერთი რომ მზა-მზარეულად გვრჩება ფიჭა და მეორე ვიღებთ ძლიერ წმინდა თაფლს, რომელიც ხელით გამოწურულთან შედარებით თავის ღირსებით ძლიერ მაღლა სდგას. ამ მანქანას დავარქვათ „ციბრუტა“, რადგან ციბრუტივით ტრიალებს ცქი-



ციბრუტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტზე (ცენტრ). ახლა სხვა მეფუტკრემ მოიგონა ისეთი ფუტკრის მანქანა, რომლის წყალობითაც მზის სხივებზე ფიჭას აქცევენ წმინ და სანთლად (ცვილი).

არის აგრედვე მოგონილი სხვა და-სხვა იარაღი, რომელიც ძლიერ აადვილებს მეფუტკრეობას. ეს იარაღებია, მაგალითად, საკომლე, როცა ფუტკრებთან გვინდა მუშაობა, სკაში წინდაწინ უნდა შეუშვათ კომლი და ეს ამ საკომლის საშუალებით ძლიერ ადვილია—კომლი ფუტკრებს აწყნარებს, აბრუებს და ისე ალარ იკბინებიან. არის აგრედვე საჩაიეს მსგავსი მანქანა.



საჩაიე. ხელოვნური ფიჭის მისამაგრებელი იარაღი.

ამ პატარა მანქანის შემწეობით, ადვილად შეგვიძლიან ჩარჩოზე მივაწებოთ ხელოვნური ფიჭა. გარდა ამ იარაღებისა, საფუტკრეში საჭიროა კიდევ სხვა და სხვა დანები და სანთლის საწური მანქანა.

ასე და ამ რიგად, მეცნიერთა წყალობით მეფუტკრეობა შეიქნა სახალისო, სასარგებლო საქმე. მის შესწავლის წყალობით, ბევრ ლარიბს მშრომელს გაუჩნდა ალალი ლუკმა პური.

აპ. წულაძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა რამ მარილის შესახებ.

ველა თქვენგანმა იცის, რა არის მარილი. ყოველ დღე ჰხედავთ, მაგ. სადილობის დროს; ყოველთვის ატყობთ, რომელი საჭმელი მარილიანია, რომელი უმარილო. შეატყობთ თუ არა, საჭმელი უმარილოაო, მაშინვე გაიწვდენთ ხელს სამარილესკენ, აიღებთ და მოაყრით თქვენს გემოვნებაზე. ამასთანავე დარწმუნებული ვარ, ბევრმა თქვენგანმა არ იცის, რა საგანია ეს მარილი, საიდან წარმოსდგება ან რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის? ბევრს თქვენგანს რომ დავეკითხოთ: აბა, მითხარით, რა იცით მარილისაო, შეიძლება გაუკვირდეთ, შეიძლება სასაცილოდაც არ ეყოთ ეს შეკითხვა. რა ცოდნა უნდა მარილსო, ვინ არ იცის, რა არის მარილიო, მაგრამ სასაცილო აქ არაფერია; პირიქით, დიდად სამწუხაროა, რომ ხშირად არა ვიცით-რა იმ საგნებისა, რომელსაც ყოველ დღე ვხედავთ და ვხმარობთ. ავიღოთ მაგ. წყალი—ბევრი ვიცით ამ უსაჭიროესის სასმელისა? არა! საიდან ჩნდება წყალი? რისგან შესდგება? როგორ მუშაობს ჩვენს სხეულში? და სხ. ან და ჰაერი. რა არის ჰაერი? რისგან შესდგება? ვზრუნავთ, რომ წმინდა იყოს, ვიცით, რაოდენად სასარგებლოა? არა! სულ ცოტას ვზრუნავთ ამისათვის და თუ ვზრუნავთ, მხოლოდ მაშინ, როდესაც დახშულ ოთახში მოვექცევით, ან როდესაც პირს მოგვიკუმავენ და დავრწმუნდებით, რომ სუნთქვა გვეკვრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარილი დიდ სამსახურს უწევს ადამიანს. უმარილოდ სიცოცხლე თითქმის შეუძლებელია. უმარილო საჭმელი უგემურია, უვარგისი და ნოყიერებას მოკლებული. ადამიანმა რომ მუდამ უმარილო საჭმელი სჭამოს, უეჭველად ავად გახდება და ბოლოს შეიძლება კიდეც მოკვდეს. მარილის მნიშვნელობა ასეთია: უსუფთავებს ადამიანს სისხლს, ადვილად ანელებინებს საჭმელს, უწმენდს კანს, აძლევს ღონეს, სიმარდეს—ახალისიანებს.

მარილის დიდ მნიშვნელობას ადვილად წარმოვიდგენთ, თუ გავიხსენებთ იმ ხალხს, რომელთა ქვეყნებში სრულიად არ მოიძებნება მარილი. მაგ. შუა აფრიკაში მარილი ისე ძვირია, რომ იქ მკვიდრნი მის კვნიტს ან მარილის ქვას ფულის მაგივრად ხმარობენ. როდესაც აფრიკელი რასმე ყიდულობს, უსწორდება გამყიდველს მარილის ქვით და არა ვერცხლის ან ოქროს ფულით. ოქროს ან ვერცხლს იქ მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. შუა აფრიკაში მდიდარს იმას უწოდებენ, ვისაც ბევრი მარილი აქვს. რაც უფრო დიდია მარილის ქვა, მით უფრო მეტი ფასი აქვს, მით უფრო მეტი საქონელი შეგიძლიათ იყიდოთ იმით. ჩვენში, როდესაც ბავშვი სტირის, დედა ხშირად აჩუმებს შაქრის ნატეხით, აფრიკაში-კი შაქრით ბავშის გულს ვერ მოისყიდით. იქ ამ შემთხვევაში პაწაწა მარილის კვნიტით ან მარილის თვალით უფრო მალე დააჩუმებთ ბავშვს, ვიდრე შაქრით. აფრიკელი ბავშვი მარილს უფრო სიამონებით ლოკავს, ვიდრე შაქარს.

ძველად ჩვენშიც მარილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და შეძლებულს კაცს რამდენიმე ურემი მარილის ქვა ჰქონდა სახლში შენახული.

ბუნებაში ორ გვარი მარილია. ერთს ჰქვიან ქვის მარილი და მეორეს—სასადილო. ქვა მარილს დედამიწის სიღრმეში პოულობენ; ზოგიერთ ქვეყანაში მარილი იმდენია, რომ ზვინებივით უდგათ მარილის ქვები. წმინდა ქვა მარილი გამჭვირვალეა და ჰგავს ყინულს, მაგრამ ხშირად სხვა და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნივთიერებაც ურევია და ამის გამო სხვა და სხვა ფერისა ხან მომწვანო, ხან მოყვითანო, მოწითლო და სხ. ზოგჯერ ძალიან ღრმადაა ჩაფლული მიწაში, ზოგჯერ-კი დედამიწის ზედაპირზედაც იჩენს თავს, მაგ. ილეცის საფართან ორენბურგის გუბერნიაში უზარმაზარი (70 საჟ. სისქისა) მარილის მადანი მიწის ზენაპირზეა. თითქმის ამგვარივე მარილის მადანი უნახავთ ისპანიაში.

ჩვენში ბევრია ქვა-მარილი, მაგ. ერევნის გუბერნიაში, გუმბრის მახლობლად სოფ. ყულფსა და აღზევანს და, სანამ საქართველო შეუერთდებოდა რუსეთს რკინის გზით, იქიდან ვეზიდებოდით მარილს. ათი, ოცი და ხშირად ასი ურემი ერთად მიდიოდა ყულფს ან აღზევანს საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან, უფრო-კი ქართლ-კახეთიდან მარილის მოსატანად. ლექსიც-კია დარჩენილა ხალხში იმ დროსი:

აღზევანს წავალ მარილისათვის,
მარილს მოვიტან ბროლსაო და სხვა.

სხვა ქვეყნებშიც ბევრია ქვა-მარილი მაგ. გერმანიაში, ამერიკაში, მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი მადნები ავსტრიაშია, ქალაქ ველიჩკაში. აქ მარილის სისქე აღემატება 600 საჟენს. თითქმის 1000 წელიწადია, რაც ამოაქვთ აქ მარილი, მიწაში მრავალი მაღაროებია გაყვანილი, დიდი ქალაქია აშენებული. ქალაქს მრავალი გზა და შესახვევები აქვს, გალერეია, ზალა, სამლოცველო — შიგ აუარებელი ხალხი მუშაობს, მიდიან-მოდიან ურმებით, ცხენებით, ამტვრევენ მარილს და ამოაქვთ ზემოდ.

აი როგორ აღგვიწერს ამ ქალაქს ქ-ნი ლეპლოვისა:

„კარპატის მთების ძირში, ქალაქ კრაკოვის მახლობლად, სძევს პატარა ქალაქი ველიჩკი. აქ ვერ ჰნახავთ ვერც სასახლეებს, ვერც ძეგლებს, ვერც ბაღებს, ვერც ქარხნებს და ფაბრიკებს. თუმც ეს ასეა, ველიჩკი მაინც ფრიად შესანიშნავი ქალაქია და ყველამ იცის მისი სახელი. უზარ-მაზარი ყინულივით წმინდა მარილის ზოდები ამშვენებს ამ ქალაქს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხვევს დიდს სახელს. ხშირად მოდიან აქ მოგზაურები—ტურისტები ბიან მის სანახაობით და ავრცელებენ საუცხოვო ხმებს მის სილამაზესა და სიმდიდრეზე.

„აუარებელი მუშა მუშაობს აქ დღე და ღამე. მიწაში ამოთხრილია ექვსი ღრმა გვირაბი (შაქტი), გვირაბებიდან გაყვანილია კორრიდორები; კორრიდორებით შედიან დიდ დარბაზებში და ამტვრევენ მარილს. დარბაზები ექვს სართულიანია. ეხლა ველიჩკის ქვეშ სულ ამოთხრილია მიწა ამონათხარში მთელი ქალაქია აშენებული თავის ქუჩებით, მოედნებით, სახლებით... მშვენიერი ეკკლესიები, კიბეები, ანდრიანტები— სულ მარტო მარილისაგანაა აქ გამოკვეთილი.

„გვირაბში ჩასასვლელად მოწყობილია ჩასაშვებ-ასაწევი მანქანები. მარილის მტვერი უჯდება ტანისამოსს და ამისათვის იცვამთ თეთრს ხალათს, ჯდებით ერთ-ერთ მანქანაში და ეშვებით ძირს. 22 საჟენის სიღრმეზე მანქანა ჩერდება... თქვენს წინ რაღაც მშვენიერებაა, იატაკი, კედლები, ჭერი სულ წმინდა, ბროლივით თეთრის მარილისაა... გადადგამთ რამდენსამე ნაბიჯს და შედიხართ საუცხოვო სამლოცველოში. უშველებელი სვეტები იმაგრებენ თაღსა და კამარას. შესავალში სდგას ორი მოწითანო მარილისაგან გამოკვეთილი ანგელოზი. ტრაპეზთან ჩამოკიდებულია მშვენიერი ხომლი. საკურთხეველი საუცხოვოდაა მორთული—როგორც ამბობენ, ეს სამლოცველო გამოუკვეთია ერთს მორწმუნე მუშას წმ. ანტონის სახელობაზე.

„სამლოცველოს დათვალიერების შემდეგ შედიხართ კოპწია დარბაზში. აქაც მაღალი სვეტები, ჩუქურთმებით გამოკვეთილი თაღი, ბროლივით კედლები, უზარმაზარი ხომლი... ოდესმე აქ თურმე დიდ ნადიმებს ჰმართავდნენ; მეფეები, წარჩინებულნი ხშირად ჩამოდიოდნენ აქ და ეწეოდნენ ქეიფს.

„სტოვებთ ამ დარბაზსაც და მისდევთ გზის მაჩვენებელს ჩიჩერონე მალე შეგიყვანთ დიდ გამოქვაბულში. გამოქვაბულში ბნელა. უკვირდებით და ამჩნევთ, რომ ძირს რაღაც ბრწყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნვალე ზედაპირი მოსჩანს. ეს ტბაა. ნაპირად დალაგებულია აუარებელი მარილი. ტბაზე პატარა ნავებია. თქვენც ჯდებით ნავში და გადადიხართ მეორე ნაპირას. აქედან კიბით ადიხართ მეორე სართულში. აქაც ის სანახაობაა, რაც პირველში. მეორე სართულიდან ადიხართ მესამეში და ასე ამ რიგად ათვალიერებთ ყველა სართულს... ბოლოს ბრუნდებით ისევ იმ ალაგს, საიდანაც დაიწყეთ მაღაროს დათვალირება... დაღლილი სხვადასხვა სანახაობით, ადიხართ ზემოდ. მაღაროს სტოვებთ, შორდებით, მაგრამ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მიიღეთ მის ეკკლესიების, დარბაზების, კორიდორების დათვალიერებით ვერასოდეს ვერ მოიშორებთ და ვერ დაივიწყებთ, ასეთია ძალა ამ შთაბეჭდილებისა!"

როგორ გაჩენილა ქვა-მარილი? როგორც გეოლოგები გვიმტკიცებენ, მარილი უნდა გაჩენილიყოს ზღვების წიალისა და მარილიან ტბების დაშრობის დროს. ზღვის წყალი მდიდარია მარილით. მაგ. 100 გირვ. წყალზე გამოდის $2^1/_3$ გირვ. მარილი. გამოუანგარიშებიათ, ყველა ზღვები რომ დაშრეს, მათ ძირზე 40 საჟ. სისქის ზოდი უნდა დარჩეს. ეს რაოდენობა იმდენია, რომ მით შესაძლოა გადიფაროს მთელი დედამიწის ზურგი 25 საჟ. მარილის ნაფენით. საუკუნეთა განმავლობაში ზღვის წყალი თანდათან შრებოდა, მარილი რჩებოდა დაფენილი დამშრალ ადგილზე, შემდეგში ამ ადგილს ისევ აწვებოდა წყალი, ივსებოდა აუზები, მერე ისევ შრებოდა, მარილი ილექებოდა ნაფენად, ამ რიგად ნაფენს ემატებოდა ნაფენი, შიგა და შიგ ერეოდა თიხა, ქვიშა და სხ. ასე უნდა გაჩენილიყოს ქვა-მარილი. ასე გვარწმუნებენ სწავლულები.

გარდა იმისა, რომ მიწიდან ამოაქვთ მარილი, მარილი ამოაქვთ ზღვიდან, მარილ-წყლიან ტბებიდან და წყაროებიდან. წყლიდან ამოღებული მარილი უფრო წმინდაა, ვიდრე დედამიწიდან. ჩვენც უმთავრესად იმ მარილს ვხმარობთ საჭმლისათვის, რომელიც გადადუღებულია წყლიდან. ქვის მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილს-კი ხშირად ხმარობენ საქონლისათვის; სხვა ქვეყნებში ქვა მარილით ხშირად ანოყიერებენ მიწას, ქვა-მარილით სწმენდენ წყალს, მაგ. როდესაც შენიშნავენ, ჭა აივსო ინფუზორიებით და წყალ-ბალახებითაო, ჩაჰყრიან შიგ მარილს, ინფუზორიები და წყალ-ბალახები იხოცებიან მარილიან წყალში, მერმე მარილთან წყალს ამოსწურავენ და ჭა ისევ აივსება წმინდა წყალით. გარდა ამისა, მარილს ხშირად ჰხმარობენ სხვა და სხვა ტეხნიკურ საქმეში, ქიმიკოსები მარტო მარილიდან ამზადებენ ნატრს და ქლორს, ექიმები ხშირად უწერენ ავადმყოფებს ამ ნატრსა და ქლორს სხვა წამლებთან ერთად და სხვა.

ზღვიდან მარილი ამოაქვთ ასე. ზღვის ნაპირას სთხრიან პატარ-პატარა აუზებს, აუზები დაყოფილია ერთი მეორისაგან მიწის ან ფიცრის კედლებით; ზღვიდან გამოჰყავთ წყალი და უშვებენ აუზებში. ჯერ ავსებენ პირველ რიგის აუზებს. როდესაც შენიშნავენ, წყალმა იორთქლა და გასქელდაო, გადაუშვებენ მეორე რიგის აუზებში; აქაც, როდესაც წყალი რამდენჯერმე იორთქლებს და კიდევ უფრო გასქელდება, გადუშვებენ მესამე რიგის აუზებში და ასე ამრიგად გადაჰყავთ წყალი მანამდე, სანამ უკანასკნელ აუზებში არ დარჩება მარტოკა წმინდა მარილი. როდესაც ამ უკანასკნელ რიგის აუზებში მარილი ცოტათი მოშრება, აიღებენ და დაალაგებენ ნაპირას მზეზე გასაშრობად.

ასე შოვობენ მარილს თბილ ქვეყნებში. ცივ ქვეყნებშიც აუზებსა ხმარობენ, მხოლოდ შემდეგის მოსაზრებით. თბილ ქვეყნებში წყალი ორთქლავს და მარილი ძირს ილექება, ცივ ქვეყნებში წყალს არ შეუძლია იორთქლოს, აქ იყინება, მარილი-კი როგორც უფრო მძიმე ნივთიერება არ იყინება და რჩება ყინულ ქვეშ. გაყინვის შემდეგ ყინულს ამტვრევენ და ქვეშიდან ამოაქვთ წმინდა მარილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი მარილი ამოაქვთ მარილ-წყლიან ტბებიდანაც. გვარი ტბა ბევრია ასტრახანის გუბერნიაში—ჩვენშიაც ბევრია მარილ-წყლიანი ტბა, მაგრამ აქ მარილს არ შოვობენ. ზოგიერთ ტბაში წყალი იმდენად მარილიანია, რომ ზაფხულობით, როდესაც ცხელი დღეებია და წყალი სრულიად შრება, შიგ რჩება მარტო მარილი. ამგვარ მარილს უწოდებენ სახელად თვითდალექილ მარილს.

გარდა ზღვებისა და ტბებისა, მარილი ამოაქვთ წყაროებიდანაც, მაგრამ წყაროების წყალი ცოტათია მარილიანი—მის ცეცხლზე გადადუღება ძვირად დაჯდებოდა და ამისათვის მარილის მისაღებად ამჯობინებენ ისევ ბუნების ძალას. წყაროებთან აშენებენ ფარდულებს—აწყობენ შიგ ჩელტებს, ქვემოდ უკეთებენ ქვის აუზებს—ფარდული ყველა მხრიდან ღიაა და ქარს ადვილად შეუძლიან შიგ იმუშაოს. წყაროებიდან გამოიყვანენ წყალს და უშვებენ ჩელტებზე—ჩელტებს უბერავს ქარი და აშრობს წყალს—გასქელებულ წყალს ისევ ასხამენ ჩელტებზე, ამას იმეორებენ რამდენჯერმე და ამრიგად წყალი უფრო და უფრო სქელდება. შემდეგ გასქელებულ წყალს ადუღებენ ქვაბებში, წყალი იქცევა ორთქლად, მარილიკი იკრიბება ძირს.

წყაროებიდან მიღებული მარილი საუკეთესო სასადილო მარილად ითვლება.

ახლა ვნახოთ, რისგან შესდგება მარილი. ერთის შეხედვით სულ მარტივი საგანია, მაგრამ მხოლოდ ერთის შეხედვით. როგორც ქიმია გვასწავლის, მარილი რთული საგანია და შესდგება ორის ნივთიერებისაგან. ერთს ჰქვია ნატრი და მეორეს ქლორი. წმინდა ნატრი ძვირად მოიძებნება ბუნებაში, ის მოთეთრო და ბრწყინავი ლითონია, მეტად მსუბუქი და მჩატე. ქლორი—გაზია, ჰაერის მზგავსი ნივთიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, მყრალის სუნისა და შხამიანი. ეს ორი ... ცალკ-ცალკე რომ ვიხმაროთ, ვნების მეტს არას მოგვიტანს, ერთად კი, როგორც ნათქვამი იყო, დიდად საჭირო და სასარგებლო საგანია, როგორც ადამიანისათვის, ისე საქონლისათვის.

დ. ახ.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა.

ოთხი მარცვლისგან შესდგება
ეს უცხო სიტყვა. ძნელია
მის გამოცნობა იმისთვის,
ვინც ნაკლებ გამოცდილია.

თავი მარცვალი ნოტაა,
მეორე კიდევ კავშირი,
მანამ მესამეს მოვძებნით,
საქმეა მეტად საჭირი.

ორი ასოა საჭირო
მარცვლებსა შუა ჩაუსვათ,
რომ მერე უფრო გულადად
შარადას ხელი გაუსვათ

მაგრამ რა ასო, რომელი?
არავინ იცის, მგონია.
ისევ მე გეტყვით, გასწავლით,
საკუჭნაოში მქონია.

მეოცდაოთხე ადგილი
მგონი უჭირავს პირველსა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეოცდაერთე მეორეს
ანბანის საკურთხეველსა.

მესამესა და მეოთხეს
ძებნა სჭირია ნაკლები,
„ერთის“ მეზობლად რიცხვია
სამისგან გამონაკლები.

მთელი სიტყვა კი არც ისე
გამოსაცნობად ძნელია,
უცხოდან შემოტანილი
ქართულში დანერგილია.

ვ. თამროშვილი.

გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ა მ ო ც ა ნ ა.

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილის მიერ).

მოცემულია შემდეგი სიტყვები:

1. ხმელეთის ნაწილი—7 ასოსგან.
2. საქართველოს დედა-ქალაქი—7 ასოსგან.
3. სამეფო ევროპაში—7 ასოსგან.
4. ქალაქი ჩრდილო-ამერიკაში—8 ასოსგან.
5. ადგილი ჩრდილოეთ-აფრიკაში—6 ასოსგან.

ამ სიტყვების პირველ ასოებისგან შეადგინეთ დედა ქალაქი საბერძნეთისა.

მე-4 №-ში მოთავსებულ რებუსის ალსნა:

მიმპარავი ძაღლი უარესია მყეფარაზე.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომც. **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ.

ძღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

ზღაპრები, ვილჰემ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ.

ტომის თავგადასავალი, თხზულება, მარკ-ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქ-ციისა, ფასი . . . . . 50 კ.

რას გვიამბოგს ოთახი. თხზულება ავენა-რიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქ-ციისა, ფასი . . . . . 20 კ.

მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

წელიწადი მეექვსე

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

ვარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

I. დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი, — ზდაპარი ევალდისა ექვსი სურათით. — **II. მარჯნები**, — ზდაპარი ევალდისა ოთხი სურათით. **III. თოკრმეტი და**, — ზდაპარი ევალდისა ერთი სურათით. — **IV. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.**

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან. სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან. — ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.